ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 8 ნოემბერი, 2021 №210 (8739) ფასი: 60 თეთრი

ივანიშვილმა შუშის სასახლე დაცალა და საქართველოდან მიდის

გვ.2

„კადრების გავრცელებით ხელისუფლებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სააკაშვილი შიმშილობს“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ მარაზმშია, უკვე ყველა ფსკერი გახვრიტეს“

„ოპოზიცია სწრაფ შედეგზეა ორიენტირებული და პროცესი „მოჩქარეს მოუგვიანდეს“-ო პრინციპით მიმდინარეობს“

გვ.2



გვ.3

„ნაცებს სააკაშვილის დარდი არ აქვთ, ისინი მის სახელს იყენებენ“

გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილს გათვლა ყოველთვის ბრბოზე ჰქონდა“

გვ.2

„ხელისუფლება მიღებს ისეთ პროტესტს, რომელიც 9 წლის განმავლობაში არ უნახავს“

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი არსად წავა, არსად არა აქვს წასასვლელი“

„რყევები მიდის სააკაშვილის სცენარით. ეს პერიოდი არის გადასატანი“

ამირან სალუქვაძე: „თუ „ქართული ოცნება“ დანაპირების შესრულებას ვერ შეძლებს და გეზიდან გადაუხვევს, თავად გამარგინალდება და 2024 წლისთვის უმძიმეს შედეგებს მოიმკის“

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მსოფლიოში აღიარებულია საქართველოს წვლილი გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფაში“

გვ.5

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არსად გამქრალა“

„გადაიყვანონ სააკაშვილი საავადმყოფოში, ივანიშვილი ტყუილად ქმნის პრობლემას“

ბარსელონაში ქართველ კრიმინალებს კასპელი ძმები ლიპარტელიანები მეთაურობდნენ

ესპანეთში საქართველოს 8 მოქალაქე დააკავეს

გვ.5

ISSN 1987-9385

5 პოლიციელი დავით მესხი პოლიციელ პაპუნა ლოლუას მკვლელობისთვის დააკავეს

4 სალომე ზურაბიშვილმა კობა დავითაშვილი ღირსების მედლით დააჯილდოვა

5 ლ.შ.-მ ფეისბუქში 14 პირისგან 3.930 ლარი მიითვისა

6 ერაყის პრემიერი თავდასხმას გადაურჩა

„კადრების გავრცელებით ხელისუფლებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სააკაშვილი შიმშილობს“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ მარაზმშია, უკვე ყველა ფსკერი გახვრიტეს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მოიგო ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის შიმშილობასთან დაკავშირებული კადრების გამოქვეყნებით და მტკიცებით, რომ თითქოს ის არ შიმშილობს? რას ნიშნავდა სუს-ის განცხადება, რომ თითქოს ოპოზიცია არეულობას და მათ შორის თავისი რიგებიდან ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაციასაც გეგმავდა? და რამდენად სწორია ოპოზიციის არჩეული გეგმა — ქუჩის ამოქმედება? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

„ოპოზიცია სწრაფ შედეგზეა ორიენტირებული და პროცესი „მოჩქარეს მოუგვიანდეს“-ო პრინციპით მიმდინარეობს“

– რა იყო ის, რაც სააკაშვილის თემაზე ხელისუფლებამ გვაჩვენა? ნახევრად ხუმრობით რომ ვიკითხო „გახარიას კოკაინშიკობა“ მოერევა თუ „სააკაშვილის „ფეიქი“ შიმშილობა?

– არ ვიცი, მაგრამ გასაგებია, რომ ხელისუფლება მარაზმშია გადასული და ყველა ფსკერი გახვრიტეს. მე არ ვარ მაღალი აზრის მიხეილ სააკაშვილზე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რაც ვნახეთ, ამით საპირისპირო შედეგს იღებენ. ის ხალხი, ვინც ისედაც ხელისუფლების მხარესაა, ყველაფერს დაიჯერებს, რაც არ უნდა იყოს და კითხვებსაც არ დასვამენ. ვინც კრიტიკულად არის განწყობილი და კითხვებს დასვამს... უცნაური სცენები ვიხილეთ.

თუ ვლაპარაკობთ კვებაზე, მაშინ ყველას კარგად გვესმის, რომ კვება საკანში ხდება და არა სამედიცინო პუნქტში. სამედიცინო პუნქტში მკურნალობენ ადამიანებს და ექიმი რაღაცას რომ აძლევს, იგულისხმება, რომ წამლად აძლევს და არა საჭმელად. სასადილო ხომ არ არის მედპუნქტი?! თუ ვინმეს საღი აზრი შემორჩენია, მიხვდება, რომ პირიქით, თავისთვის საზიანო საქმე გააკეთეს. მე ვგულისხმობ მორალურ მხარეს, რამდენად სწორი იყო ამის გამოყენება. ასე რომ, მე თუ ადრე ცოტათი ეჭვი მეპარებოდა მართლა შიმშილობს თუ არა, ახლა დავრწმუნდი, რომ მართლა შიმშილობს.

– აქამდე მაინც ეჭვი გეპარებოდათ?

– არა, თუკი დაშვება შემეძლო, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე რაღაც ხითხითით და ვიფიქრე, რომ შეიძლება მართლა ჭამს და რაღაც რეალური გვაჩვენონ-მეთქი. როდესაც რაღაცას გვაჩვენებენ და ის მედპუნქტში გადაღებული კადრებია, ამით ფაქტობრივად თვითდაზიანება მიიყენეს. საკანში რომ ეჩვენებინათ, კიდე დაემსგავსებოდა რაღაცას. მედპუნქტში კი ექიმები ტრიალებენ და გასაგებია, რომ ექიმი აძლევს წამალს იქ მისულ ადამიანს.

– მეორე მხრივ, მათ ამით ჩაიდინეს დანაშაული, როცა ადამიანის ნებართვის გარეშე პერსონალური ინფორმაცია გაავრცელეს.

– ჩვენ ამას დიდი ხანია მიჩვეულები ვართ და ეს აღარ გვიკვირს. რა თქმა უნდა, ეს არის უდიდესი პრობლემა. შერჩევითი მორალის ამბით გვიწევს ცხოვრება.

– თვლით თუ არა, რომ ამით საბოლოოდ დაკარგა „ოცნებამ“ ყოველგვარი მორალური უპირატესობა, რაც შეიძლება ჰქონოდა სააკაშვილთან მიმართებაში?

– ჩემთვის დიდი ხანია დაკარგული აქვს, მაგრამ მედროვეებს რა გამოლევს ამ ქვეყანაში. შერჩევითი მორალი ტყუილად არ მიხსენებია. ჩვენთან ასე ითვლება, რომ თუ თავისიანზე ძალადობენ, ეს დანაშაულია და თუ სხვაზე ძალადობენ, ეს კანონის აღსრულებაა. შესაბამისად, ამ ყველაფრით არაფერი არ იცვლება განწყობის თვალსაზრისით, რადგან ვისაც უნდა „ქართული ოცნების“ ნებისმიერი სისულელე, ის მაინც დაიჯერებს. ორჯერ ორი ხუთიაო რომ თქვან, იმასაც დაიჯერებენ. ვინც ასე არ ფიქრობს და სხვანაირად უყურებენ, ეს ადამიანები პროცესში არ არიან. არიან მეორე მხარესაც ადამიანები, მიშამ რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერს „გაუპრავებენ“. ასეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, როდესაც ორივე მხარე „ჩემი შენ გითხარი“-ს პრინციპით მოქმედებენ.

– პროცესების განვითარებას როგორ უყურებთ? სუს-მა მორიგი განცხადება გააკეთა, თურმე როგორ გეგმავდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები არეულობას, მათ შორის, ოპოზიციის ერთერთი ლიდერის ლიკვიდაციასაც. რა არის ეს?

– სუს-ის ეს განცხადება სისტემური დანაშაულის დადასტურებაა – როდესაც ყველა სახელმწიფო უწყება სახელმწიფო ინტერესზე კი არა, არამედ პოლიტიკურ ინტერესზე მუშაობს. რას ემსახურებოდა ეს განცხადება? – ორ რამეს ემსახურებოდა:

პირველი, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური ამოცანაა ოპონენტების მორალური (და არა ფიზიკური) განადგურება მისი დისკრედიტაციის სახით. როდესაც ამბობენ, რომ სააკაშვილია ამის ორგანიზატორი, წარმოუდგენელ რაღაცას ამბობენ. როგორ შეიძლება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ასეთ განცხადებას აკეთებდეს?! ან თუნდაც პრემიერი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ანალოგიური განცხადება გააკეთა?! იმიტომ, რომ როდესაც სუს-ი ასეთ განცხადებას აკეთებს, რამდენიმე ადამიანი უკვე ციხეში უნდა იჯდეს და მერე კეთდებოდეს განცხადება. ჩვენ კი ვიხილეთ პრევენციული განცხადება, მკვლელობაზე ლაპარაკობენ. წარმოუდგენელი რაღაცაა. ეს არის უსაფრთხოების სამსახურის სრული დეგრადაცია.

მეორე ამოცანა, რა თქმა უნდა, აქციებზე მიმსვლელი ხალხის დაფრთხობა იყო – მართლა რამე არ ხდებოდეს და რომ გავიდე აქციაზე, რამე შარში არ გავეხვეო.

ამ ორივე ამოცანის შესრულება პოლიტიკური ინტერესია და არა სახელმწიფო სამსახურის. როდესაც უსაფრთხოების სამსახურები პოლიტიკურ ინტერესზე მუშაობენ და არა სახელმწიფოსი, ეს უკვე ბოლო ზღვარია.

– საინტერესოა, რომ წინა დღეს კობახიძე ამბობდა 6000 ადამიანი მივაო და როგორ ახდენდნენ ამდენი უწყების ბლოკირებას?

– არ ვიცი. ყველაფერს კადრულობენ. არ გვიკვირს ეს. რა მოიტანეს ახალი?! ბუმერანგის პრინციპით მუშაობს პოლიტიკა. წინასაც ეგონა, რომ მუდმივი იყო და დღეს აგებენ ამაზე პასუხს. ამათიც ხომ იგივეა. როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება, ბუნებრივია, ამათი პასუხისმგებლობაც დადგება.

– ოპოზიციას, როგორც ჩანს, ერთადერთი გზა რჩება და ეს ქუჩაა. შეცვლის ეს რამეს?

– მე არ მგონია, რომ ეს ერთადერთი გზაა. კი ბატონო, ოპოზიციამ არჩია ეს გზა, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ერთადერთი გზა ესაა. იმიტომ, რომ დღეს ქართულ საზოგადოებაში არ არსებობს რევოლუციის განვითარების საფუძვლები. რევოლუცია მაშინ ხდება, როდესაც ერთ მხარეს სტერილური ხელისუფლება რჩება და მეორე მხარეს კონსოლიდირებული საზოგადოებაა. დღეს ეს მდგომარეობა არ არის, საზოგადოება სამ ნაწილად არის გაყოფილი. კი ბატონო, შესაძლოა ჰქონდეს სერიოზული მხარდაჭერა, მაგრამ ხალხი არ არის კონსოლიდირებული.

საკმარისი არაა, იმიტომ, რომ ამ იდეას ოპონენტები მეტი ჰყავს, ვიდრე მომხრეები. მათ შორის ოპონენტები არიან ისინიც, ვისაც ხელისუფლება ძალიან არ მოსწონს. დიდი ბოდიში, მაგრამ რევოლუცია, თანაც მიშა სააკაშვილის ბელადობით, არ უნდა ამ ხალხს. შესაბამისად, როდესაც არ გაქვს მხარდაჭერა, სცენარის ასეთ განვითარებაზე პრეტენზია, რა თქმა უნდა, არასწორია.

– თვლით, რომ სტრატეგიაა არასწორი და იგივე საკრებულოებიდან დაიწყოთ ბრძოლა?

– საერთოდ პოლიტიკაში არ ხდება ასე, რომ დილას დავიწყოთ და საღამოს დავამთავროთ. ოპოზიცია მუდმივად ქმნის მოლოდინებს, თითქოს სწრაფ შედეგზეა ორიენტირებული და პროცესი „მოჩქარეს მოუგვიანდეს“-ო პრინციპით მიმდინარეობს.

„ხელისუფლება მიღებს ისეთ პროტესტს, რომელიც 9 წლის განმავლობაში არ უნახავს“

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი არსად წავა, არსად არა აქვს წასასვლელი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, 6 ნოემბერს გამართულ აქციაზე, რომელიც რუსთავში გაიმართა, ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და ერთდღიანი ვადა მისცა. თუკი არ დააკმაყოფილებს ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნებს, მაშინ რა იქნება?

– ყველა შესაძლო პოლიტიკური ფორმა იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლე და ჯანმრთელობა იქნას შენარჩუნებული. დაწყებული საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებით, დამთავრებული ძალიან მასშტაბური აქციებით. ეს არ იქნება ისეთი აქცია, რაც აქამდე გვინახავს, რომ მიტინგი შედგება და შემდეგ დაიშლება. ასე არ იქნება. რუსთავის ციხესთან დარჩნენ მოშიმშილეები, პარალელურად რეგიონებში გაიშლება საპროტესტო გამოსვლები, ასევე, თბილისში იქნება აქციები. პარლამენტში ელენე ხოშტარია შიმშილობს. მოკლედ, ხელისუფლება მიიღებს ისეთ პროტესტს, რომელიც მას არ უნახავს ამ 9 წლის განმავლობაში. იმიტომ, რომ აქ საუბარია ელემენტარულ რაღაცაზე, ეს არის ელემენტარული ადამიანობის და ჰუმანურობის საკითხი და ცდება ყოველგვარ პოლიტიკურ მოთხოვნას.

– არ დგას დღეს ამის საჭიროება, რომ კლინიკაში გადავიყვანოთო. ამაზე რას იტყვით?

– ამის საჭიროება დგას და ამ ელემენტარულ მოთხოვნაში იგულისხმება ის, რომ ადამიანი უნდა გადაიყვანონ ისეთ ადგილას, სადაც მის ჯანმრთელობას უკეთ მოუვლიან და იქნება უსაფრთხოდ. აი ეს ორი მოთხოვნაა ამ ეტაპზე სასწრაფოდ გადასაწყვეტი და ეს ულტიმატუმიც ამას ითვალისწინებს.

– არ შიმშილობს მიხეილ სააკაშვილიო და კადრებიც გაავრცელეს.

– რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლის ამ უნამუსო და დამცინავ საუბრებს, შიმშილობასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად ყველანაირი ნორმა დაირღვა პაციენტის, ადამიანის უფლების, შეურაცხყოფა მიაყენეს ექიმებს, რომლებმაც არ იცოდნენ მათი პაციენტის მკურნალობის და მოვლის საკითხი თუ იქნებოდა გასაჯაროებული. საერთოდ ყველანაირი ზნეობა დაკარგეს. დაგეშილი და კონცენტრირებული არიან ერთ რამეზე, როგორმე გაძლონ ხელისუფლებაში და როგორმე მოემსახურონ ბიძინა ივანიშვილს. დღეს უკვე არავინ არ დავობს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის ეს ფორმა არის ერთ-ერთი მკაცრი სახეობა და თუ დღეს ის ფეხზე დგას და მეტ-ნაკლებად მისი ფიზიკური და გონებრივი აქტივობა არის შესაძლებელი, რაღაც ეტაპზე ხომ დადგება კრიზისი? რაღაც ეტაპზე ხომ დაუძლურდება?! შესაძლებელია გონებაც დაკარგოს, ეს ხომ არ არის პროგნოზირებადი შიმშილობის პროცესი, შეიძლება საერთოდ ქმედუუნარო დარჩეს ადამიანი. როდესაც ასე წირავენ მის ჯანმრთელობას და აბუჩად იგდებენ, აი ასეთ ხელისუფლებას ხალხი ზურგს აქცევს. უკვე ჩანს კიდეც, მათი ასეთი ბუნების გამო, რამდენი ადამიანი გახდა ოპოზიციის მომხრე და ისეთი ადამიანები დადგნენ ოპოზიციის გვერდზე, ვისაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ზურგი ჰქონდა ჩვენთვის შექცეული და არჩევნებზეც კი ხელისუფლებას მისცა ხმა. ეს იმიტომ მოხდა, რომ დავინახეთ ხელისუფლების ვერაგი სახე. თუ მათ უნდათ, რომ სააკაშვილმა იშიმშილოს წამლების და სამედიცინო დანამატების გარეშე, რომელიც ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც ადამიანს სიცოცხლის უნარიანობას უნარჩუნებს. ამის გამორიცხვის შემთხვევაში კი კრიზისული ვითარება დადგება უფრო სწრაფად. რა უნდათ, ისიც ხომ არ უნდათ, რომ სითხის მიღებაც შეწყვიტოს?! ან იქნებ იმაზე დაიწყონ ქილიკი, რატომ მშრალ შიმშილობაზე არა ხარო. სხვათა შორის, შიმშილობის გახანგრძლივება არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ ერთი მეთოდი. რაც უფრო მეტ ხანს აქვს ადამიანს ფიზიკური და გონებრივი აქტივობის უნარი, მეტი პოლიტიკური დატვირთვაა.

– რა შეცვალა სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ და მისმა შიმშილობამ?

– ერთი რამ მოხდა, მიხეილ სააკაშვილის ამ აქციამ, ფაქტობრივად ბოლომდე ამხილა ხელისუფლება, თუკი რაიმე ნიღაბი ჰქონდა, ყველა ნიღაბი ჩამოხადა.

– სუს-ის განცხადებაზე რას იტყვით? ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს, აქციის შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების ბლოკირება იგეგმებოდაო.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ივანიშვილმა შუშის სასახლე დაცალა და საქართველოდან მიდის

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან მიდის. „ნოდარ მელაძის“ შაბათის ინფორმაციით, ოლიგარქმა შუშის სასახლე დაცალა.

ცნობილია, რომ ივანიშვილის შვილები საქართველოში უკვე აღარ იმყოფებიან – ბერა კორეაშია, ცოტნე და უტა საფრანგეთში, გვანცა კი ამერიკაში.

„შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, შუშის სასახლიდან გატანილია ხელოვნების ნიმუშები, მანქანებს ყიდიან, დაცლილია აუზები და კლდეზე გაშენებული ხელოვნური ჩანჩქერიც კი დაშრა.

კადრებიდან, რომლებიც „შაბათის ეთერმა“ გადაიღო, ჩანს, რომ 256 მილიონი ლარის ღირებულების შენობას ჟანგი მოედო, სასახლეს უპატრონობა თვალის ჩინივით ეტყობა. დიდების ნიშნად სოლოლაკის ქედზე წამოჭიმული რეზიდენციის ყველა კუთხე კუნჭულს მოუვლელობის კვალი ეტყობა.

ჭუჭყით დაფარულ ღია ტერასებზე დამლაგებლებსაც კი აღარ უშვებენ. გამორთულია კლდეში ჩამალული სავენტილაციო სისტემა. გათიშულია ხელოვნური ჩანჩქერი. უკანა ეზოში ხელოვნურ კლდეში ამოჭრილი ტბა დამშრალა.

ჩაბნელებულია ბიძინა ივანიშვილის საყვარელი ოთახი, ხელოვნების ნიმუშად აღიარებული სავარძლები ჯერ ივანიშვილს სასახლიდან არ წაუღია, თუმცა, რაც კი ღირებული ჰქონდა, იქ თითქმის აღარ დევს. გატანილია რამდენიმე მილიონის ღირებულების ტილოები. ნახატები, ჩვენი ინფორმაციით, უკვე საზღვრებს გარეთ გააგზავნეს. თავიდან ბოლომდე დამინულია ვერტმფრენის დასაჯდომი შენობა.

ბოლოს ივანიშვილი მის მშობლიურ საჩხერეში ნახეს. „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დეკემბრის მეორე ნახევარში დატოვებს და ახალი წლის წინ კორეაში გაემგზავრება.

სამეგობროს ოლიგარქმა უთხრა, რომ მინიმუმ 5 წელი უკან დაბრუნებას არ აპირებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ღვევრაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაცებს სააკაშვილის დარდი არ აქვთ, ისინი მის სახელს იყენებენ“

გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილს გათვლა ყოველთვის ბრბოზე ჰქონდა“

მარიამ მჭედლიშვილი

6 ნოემბერს რუსთავში გამართულ საპროტესტო აქციაზე მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს ექსპრეზიდენტის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა. აქცია წარიმართა სლოგანით „თავისუფლება მიშას“. ხელისუფლებას 24-საათიანი ულტიმატუმიც წაუყენეს. იმავე დღეს სუსმა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის გეგმა გაიხსენა და საზოგადოებას აცნობა, რომ 6 ნოემბრიდან ოპოზიციონერები აპირებენ სახელმწიფო შენობების ბლოკირებას, პენიტენციურ დაწესებულებამდე გზის ჩაკეტვას, შესაბამის დირექტივებს კი სააკაშვილი იძლევა. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.

გიგლა ბარამიძე:

– ის, რაც ხდება, ახალი არ არის. წელიწადნახევარია, ნაცსექტა ემზადება ხელისუფლების დამხობისათვის. ყველას გვახსოვს, რამდენჯერ ეცადნენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას. ეს ვაიოპოზიციონერები საღებავებით დარბოდნენ და აწყობდნენ პიკეტებს. ახლაც, ღამე გამოსული აფთრებივით იქცევიან. პოლიტიკური ოპოზიცია უნდა ჰყავდეს ნებისმიერ ხელისუფლებას. კარგი იქნებოდა, რომ „ქართულ ოცნებასაც“ ჰყავდეს კონსტრუქციული ოპოზიცია. ის, ვისაც მთავარ ოპოზიციას ეძახიან, საერთოდ არ არის პოლიტიკური ოპოზიცია. ნორმალური პოლიტიკოსები ქვეყანას არ ანგრევენ, ამდენ სიცრუეს არ ამბობენ.

– სიცრუეში რას გულისხმობთ? მათ აღელვებთ მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

– ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოგვიანებით ვიტყვი. ამ ოპოზიციონერების ტყუილი და არათანმიმდევრულობა ყოველ ნაბიჯზე ჩანს. ჯერ იყო, თავს იკლავდნენ, მიშელის დოკუმენტს არ ვეთანხმებით და პარლამენტში არ შევდივართო. მერე შევიდნენ. მოგვიანებით მიშელის დოკუმენტსაც შეუერთდნენ. ხალხს შეჰპირდნენ, ახლა პარლამენტიდან ვიბრძოლებთო. ახლა იქიდანაც გამოდიან ნაწილ-ნაწილ. აქციებშიც სრული არეულობა აქვთ. აქციას ხან თბილისში გეგმავენ, ხან – რუსთავში. მიხვდნენ, რომ დედაქალაქში 6 ოქტომბერს ხალხს ვერ შეკრებდნენ და რუსთავში გადაიტანეს. თბილისში 7 ნოემბერს აპირებდნენ აქციის მოწყობას. ელენე ხოშტარიამ თქვა, რომ 7 ნოემბერს ეს გამართლებული არ იქნებაო. ამაში არ ვედავები. როგორ შეიძლება ნაცსექტა შეიკრიბოს 7 ნოემბერს – იმ დღეს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა სისხლიან დღედ აქცია? ელენე ხოშტარია მაშინდელ მოქმედებებს გმობს. ამავე დროს შიმშილობს სააკაშვილის გამო. ესეც გაუგებარია. სექტას ტყუილად არ ვუწოდებ ნაციონალურ მოძრაობას. შიმშილობის სხვადასხვა სახე არსებობს. მათ შორის, მშრალი და სასიკვდილო. შიმშილობდა მერაბ კოსტავა, შიმშილობდნენ ირლანდიელი თავისუფლებისთვის მებრძოლები. 10 მათგანი დაიღუპა. სააკაშვილის ე.წ. შიმშილობა არც ერთ კატეგორიაში არ ჯდება. არ მინდა მას რამე დაემართოს. ცუდს არ ვუსურვებ, მაგრამ არ უნდა მოვტყუვდეთ. სააკაშვილი საერთოდ არაა ის ტიპაჟი, რომ რაიმეს გამო თავი გადადოს. ისიც ხომ ცნობილია, რას და როგორ მიირთმევდა პატიმარი პრეზიდენტყოფილი. სააკაშვილმა, კეზერაშვილმა, მესხელმა და სხვებმა საქართველოდან უკანონოდ გატანილი ფულით აიწყვეს ცხოვრება უცხოეთში. ევროპის უამრავ ქალაქში აიშენეს და იყიდეს სახლები. იმავე ყულაბიდან ფინანსდება პიარი და იმავე წყაროებიდან იფრქვევა სიცრუე. ხალხის ნაწილი კერპთაყვანისმცემელი, ანუ მიშმადიდებელი გახდა. ბრმამადიდებლობისკენ მისწრაფება ძალიან ცუდია. დღეს მიშა ჰყავთ კერპად, ხვალ სილიბისტრო ეყოლებათ და ა. შ.

ნაცები ელოდებიან ზარის ჩამოკვრას. შიმშილობისაგან დასუსტებული კაცი წერილს წერილზე ვერ დაწერს, ამდენ სტუმარს ვერ მიიღებს. სააკაშვილის პატიმრობასაც თავისი მიზანი აქვს. ამას საკუთარი ანტისახელმწიფოებრივი ზრახვებისთვის გამოიყენებდნენ. სპეცრაზმიდან ვიღაც გაისროდა და იტყოდნენ, რომ სახელმწიფო მათ წინააღმდეგ იარაღს იყენებს.

– ხალხისთვის მნიშვნელობა არა აქვს, შეჭამა თუ არა სააკაშვილმა ფაფა ან თაფლი. საზოგადოება მის სამოქალაქო მრავალპროფილურ კლინიკაში გადაყვანას მოითხოვს.

– სასწრაფო ოპერაცია რომ ჰქონდეს გასაკეთებელი, მაშინ იქნებოდა ასეთ კლინიკაში გადასაყვანი. ახლა გადასაყვანი არაფერი სჭირს. იმისიც არ მჯერა, რომ ამბობს, დანამატებს და წვენებს აღარ მივიღებო. არ მინდა რამე დაემართოს, მაგრამ ამ ადამიანის სიტყვები დასაჯერებელი არ არის. მის ექიმს, ყიფშიძეს არასდროს უთქვამს, რომ სააკაშვილი მძიმედაა. წერილებს აგზავნის.

– სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა რატომ იქცა პრობლემად?

– როგორც გითხარით, ამის საჭიროება არ არის. ნაცები ამაზე ბევრს გაჰკივიან, სინამდვილეში მათ თავისი ბელადის დარდი არა აქვთ. ისინი სააკაშვილის სახელს იყენებენ. სააკაშვილის გარემოცვას მიშა ან უკრაინაში უნდა, ან – ციხეში.

– ნაციონალები მარტო არ არიან. ცოტა ხნის წინ გადაიდგა ნაბიჯი კოალიციის შესაქმნელად.

– ეს კოალიცია არ არის. არც კოალიციის პროექტია. ეს არის ფასადური წარმონაქმნი. სხვა პარტიებს უნდათ ისარგებლონ ნაცმოძრაობის გავლენით. რეალურად, ეს პარტიები ათეთრებენ ნაციონალური მოძრაობის წარსულს. ეს სხვა პარტიები არიან უბრალოდ ნაცსექტის დანამატები. მათი მიზანია, როგორმე გაძვრნენ მომავალ პარლამენტში.

„ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არსად გამქრალა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „გადაიყვანონ სააკაშვილი საავადმყოფოში, ივანიშვილი ტყუილად ქმნის პრობლემას“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესზე საუბრობს.

– ლაშა, როგორც ცნობილია, თქვენ ამ აქციებს არ უერთდებით. საინტერესოა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

– გარდა მასობრივი, ეროვნული მასშტაბის აქციებისა, სხვა ენა ბიძინა ივანიშვილს, უბრალოდ, არ ესმის. აქციები, პროტესტი აუცილებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია მოთხოვნები სწორად იყოს ფორმულირებული, რომ მოთხოვნები ყველასთვის მისაღები იყოს. ჩემთვის, პირადად, მთავარ პრობლემას ერთი მოთხოვნა წარმოადგენს – მიხეილ სააკაშვილის უპირობო განთავისუფლება. ჩემთვის სააკაშვილის უპირობო განთავისუფლება კატეგორიულად მიუღებელია.

ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, საქართველოს 30-წლიანი ტრაგიკული ისტორია, დაუსჯელობის სინდრომითაც არის ნაკარნახევი. თუ ასე გაგრძელდა, კვლავ იგივე წრეზე ვიტრიალებთ. ასევე, სრულიად ცალსახაა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება აქვს ყველა ადამიანს და ცხადია, მათ შორის, სააკაშვილსაც. ივანიშვილის სასამართლოზე ამას ვერ ვიტყვით. ამიტომ, მე მომხრე ვარ, საერთაშორისო რანგის მოსამართლეები ჩამოვიყვანოთ და ღია პროცესზე მოხდეს სააკაშვილის ან გამართლება, ან გამტყუნება. მეთიუ ბრაიზასაც იგივე იდეა ჰქონდა, რომ უცხოელი მოსამართლეების მიერ მოხდეს სააკაშვილის საქმის განხილვა. დამსახურებების გამო დანაშაულის პატიება სრული აბსურდია.

რაც შეეხება კიდევ ერთ მოთხოვნას, რომელიც მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანას ეხება. რა თქმა უნდა, ასევე, ნებისმიერ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის უფლება და ეს უფლება აქვს სააკაშვილსაც. სრულიად გაუგებარია პრობლემა, რომელსაც ივანიშვილი ხელოვნურად ქმნის. დაუყოვნებლივ უნდა იყოს საავადმყოფოში გადაყვანილი. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე ვარ, ვინც არ უნდა იყოს, გნებავთ ივანიშვილი იყოს, გნებავთ, სააკაშვილი.

რაც შეეხება სასამართლო პროცესების ციხეში ჩატარებას, კატეგორიულად მიუღებელია. ეს თუ ვინმეს წისქვილზე ასხამს წყალს, მათ შორის, სააკაშვილის. რატომ არ უნდა ხელისუფლებას ბრალდებები საჯარო იყოს?! შეიძლება ვინმემ ამ ყველაფერს ინტერპრეტაცია გაუკეთოს, რომ შეიძლება დანაშაულები არც არსებობს. ვერ გეტყვით, რა მიზანს ემსახურება საერთოდ ეს იდეა.

– რატომ შეიძლება ღია სასამართლო პროცესების ეშინოდეთ?

– ვერ გეტყვით. ხელისუფლების ასეთი იდეები უამრავ ინტერპრეტაციას იძლევა. რა უნდათ ამით, არ ვიცი. სრულ უგუნურებას მათი მხრიდან არ გამოვრიცხავ, მაგრამ მაინც გაუგებარია, რა შეიძლება მიზანი იყოს?! ეს იქნება სიტუაციის კიდევ ერთი დაძაბვა. სასამართლო პროცესები ღია და საჯარო უნდა იყოს.

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნამ გვერდზე გადაიწია?

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არსად გამქრალა. ამის მისაღწევად აქციები არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. სხვა მეთოდებიც შეიძლება გამოვიყენოთ. თუმცა, ივანიშვილის რეჟიმის დასრულება უნდა მოხდეს ისე, რომ კვლავ ერთპარტიული რეჟიმი არ მივიღოთ. ამ შემთხვევაში, ამის ყველაზე დიდ რისკს ვხედავ. ბელადმანიის ნიშნები აშკარაა, თუნდაც ბოლო მიტინგების გათვალისწინებით. სიმბოლური კოალიცია, რომელიც იყო შემოთავაზებული, არ არის ამის გასაბათილებლად საკმარისი. 2003 წელსაც, 2012 წელსაც კოალიციით მოვიდა ჯერ სააკაშვილს, შემდეგ ივანიშვილის ხელისუფლება, მაგრამ რა დარჩა ამ კოალიციისგან? ამის შედეგებს ვიმკით სწორედ დღეს. გადამწყვეტი უმრავლესობა არ უნდა ჰქონდეს არც ერთ ძალას.

– მათი არგუმენტი ასეთია: ოპონენტი იმდენად ძლიერია, რომ საჭიროა გაერთიანება. ეს არის მისაღები არგუმენტი?

– კოორდინაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ სწორი მოთხოვნების ირგვლივ. მე, არც ივანიშვილის ერთპარტიული ავტორიტარიზმი მინდა და არც სააკაშვილის. არც ერთის ჩანაცვლება არ მინდა, რადგან ეს ერთსა და იმავე წრეზე სიარულია. თუ რომელიმე პარტია უმრავლესობით აღმოჩნდება პარლამენტში, ეს რისკი არსებობს.

ახლა, ძალიან ბევრს საუბრობენ, სამართლიანი სასამართლო თურმე როგორი საჭირო და მნიშვნელოვანია: ერთპარტიულ მმართველობაში ვერც სამართლიანი სასამართლო გვექნება და ვერც ზოგადად სამართლიანობაზე ვერ ვისაუბრებთ, რომელიც ნამდვილად განსხვავდება პოლიტიკური ანგარიშსწორებისგან. არც პოლიტიკური ანგარიშსწორება და არც დაუსჯელობა არ არის ჩემთვის მისაღები. არც ერთია დემოკრატიისკენ მიმავალი გზა და არც მეორე. ამ 30 წლის მანძილზე ორივე ყვაოდა საქართველოში და ამიტომაც ვართ ამ დღეში. დაუსჯელობაც და პოლიტიკური ანგარიშსწორებაც ივანიშვილმა სრულ ჰარმონიაში მოიყვანა. ამიტომაც, აღარც არჩევნები ტარდება, აღარც ადამიანის უფლებებზეა საუბარი. ეს რომ დავასრულოთ, ცოტა სხვა რამეა საჭირო. მოთხოვნები, რომელიც არსებობს, საყოველთაო უნდა იყოს, მთელი ქვეყანა, მისი აბსოლუტური უმრავლესობა უნდა იზიარებდეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მსოფლიოში აღიარებულია საქართველოს წვლილი გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფაში“

– მსოფლიოში აღიარებულია საქართველოს წვლილი გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში; ჩვენს მამაც სამხედროებთან ერთად, ქართული დიპლომატიის დიდმა ძალისხმევამ გაზარდა ჩვენი როლი გლობალურ პოლიტიკაში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიპლომატის პროფესიული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ სწორედ გლობალურ კონტექსტში ქვეყნის განვითარების სწორმა ხედვამ გვაქცია რეგიონში აშშ-ის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად, რამაც არსებითი როლი ითამაშა საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ტრანსფორმირებასა და უსაფრთხო განვითარებაში. ეს პარტნიორობა დღეს მტკიცეა, როგორც არასდროს. ამასთან, მუდმივად ვეძებთ ახალ მიმართულებებს მის კიდევ უფრო განსავითარებლად, იქნება ეს ეკონომიკური კავშირები, სამხედრო თანამშრომლობა, ხალხთა შორის კონტაქტები თუ სხვა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დღეს ნატოს ასპირანტი საქართველო ღირსეულად უდგას გვერდში პარტნიორებს და თავის წილ პასუხისმგებლობას იღებს არსებული გამოწვევების დაძლევაში.

– ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ბოლო, წარმატებული მისია ავღანეთიდან მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაციის პროცესში. ამის გამო საერთაშორისო თანამეგობრობის მორიგი აღიარება დავიმსახურეთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დიპლომატიური ძალისხმევის დამსახურებაა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე თანადგომაც და 2012 წლის შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეზოლუციები ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად უპრეცედენტოა.

– მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ მშვიდობისკენ სწრაფვამ, უკეთესი მომავლის რწმენამ შეგვანარჩუნებინა სახელმწიფო, ეროვნულობა, იდენტობა.

ჩვენი ქვეყანა დღესაც გადის ოკუპაციის უმძიმეს პერიოდს. ჩვენ ამ გამოწვევასაც მშვიდობასა და განვითარებას ვუპირისპირებთ. გვჯერა, რომ ეს ერთადერთი გზაა დროებით დაკარგული ტერიტორიებისა და ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეების დასაბრუნებლად.

დიპლომატიური ძალისხმევის დამსახურებაა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე თანადგომაც. უპრეცედენტოა 2012 წლის შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეზოლუციები ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითი იყო გლობალური პანდემიის საწყისი პერიოდი, როდესაც ასობით ქართველი დიპლომატი, ხშირად საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის რისკის ფასად, ეხმარებოდა უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს.

– ყველაფერი ეს, ძვირფასო მეგობრებო, ცხადყოფს, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე დიპლომატიის როლი საკვანძო და არსებითი იყო. დარწმუნებული ვარ, ქართული დიპლომატია საკუთარ სიტყვას იტყვის დღეს არსებული ეროვნული, რეგიონული თუ გლობალური გამოწვევების დაძლევის, საქართველოს შემდგომი წინსვლის პროცესშიც, – დასძინა პრემიერმა ღარიბაშვილმა.

„რყევები მიდის სააკაშვილის სცენარით. ეს პერიოდი არის გადასატანი“

ამირან სალუქვაძე: „თუ „ქართული ოცნება“ დანაპირების შესრულებას ვერ შეძლებს და გეზიდან გადაუხვევს, თავად გამარგინალდება და 2024 წლისთვის უმძიმეს შედეგებს მოიმკის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– სააკაშვილის პარტია საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთელი წელი ბოიკოტის რეჟიმში იყო, საპარლამენტო არჩევნების შედეგებს არ აღიარებდა. ახლაც ადგილობრივი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და ისევ ქუჩაში გადის, ანუ მათი მარგინალიზაცია ხდება? რა ელოდებათ, რა იქნება შემდეგ?

– შემდეგ იქნება ის, რასაც ისინი აკეთებენ. მათ საზოგადოებისთვის სიახლის შეთავაზება არ შეუძლიათ. იქნება ისევ ძალადობა, ისევ ქუჩა და მარგინალური პროცესები მანამ, სანამ ქუჩაში არ გაკოტრდებიან, რაც იქნება დამანგრეველი, რის შედეგსაც შემდეგ არჩევნებზე ნახავენ. იმის მიუხედავად, რომ შეირგონ წინა არჩევნებთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებლები (მაჩვენებლები საკრებულოებში ყველგან გაუმჯობესებული აქვთ), ყველაფრის უარყოფას ცდილობენ.

ძალიან კარგად უფიქრდებიან, რომ თავიანთი ნამოქმედარის გამო, საზოგადოება მათ არ იღებთ, მაგრამ ცდილობენ უმცირესობის აზრი უმრავლესობას ძალადობრივად მოახვინონ. ასეთია მათი სტილი. მათგან სიახლეს არ ველოდები.

– მათ გაზრდილ მაჩვენებლებს როგორ ახსნით?

– ბევრი ნიუანსია. „ქართული ოცნება“ მე-9 წელია ხელისუფლებაშია. ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ხელისუფლების მიმართ ნდობა არჩევნებიდან არჩევნებამდე იკლებს. ვერ ვიხსენებ პარტიებს, რომ არჩევნების შემდეგ მაჩვენებლებს აუმჯობესებდეს.

„ქართული ოცნების“ შედეგები, საერთო ჯამში (47% აიღეს), ცოტა არ არის. ამავე დროს 64 მერიდან, მხოლოდ ერთი წააგეს, დანარჩენი მოიგეს. საკრებულოებიდან მხოლოდ 6 საკრებულოში არ აქვთ უმრავლესობა. მგონი, უმრავლესობა არც ერთ პარტიას არ აქვს და იქაც მუშაობა მიდის. ფაქტია, რომ 6 საკრებულოში უმრავლესობა ვერ ჩამოაყალიბეს, „ქართული ოცნებისთვის“ და საზოგადოებისთვის მთლად სახარბიელო არ უნდა იყოს.

– რატომ?

– პრობლემა არ არის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველგან ვერ შეძლო უმრავლესობის მოპოვება. პრობლემა ისაა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე არ არსებობს იმის კულტურა, მოგების შემთხვევაში გარკვეულ მუნიციპალიტეტებს დესტრუქციისთვის არ გამოიყენებენ, რევოლუციურ ცენტრებს არ შექმნიან, როგორც თვითონ აანონსებენ, არამედ საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებენ და შემდეგი არჩევნებისთვის მოემზადებიან, რათა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუმჯობესონ.

მეორე პრობლემა ისაა, ნაცმოძრაობა, რომელიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის მიუღებელია, დასკვნებს ვერ აკეთებს. მონანიებასა და ბოდიშებზე არ ვლაპარაკობ. თითქოს ჰქონდათ მცდელობები, საპარლამენტო არჩევნების წინ, თითქოს საზოგადოებას ბოდიში გადმოუგდეს, მაგრამ რამდენიმე დღეში უკან წაიღეს და აგრესია ისევ გააგრძელეს. მას შემდეგ ყველაფერს უარყოფენ, თითქოს ციხის კადრები დადგმულია, გირგვლიანის საქმე არ არსებობს... ეს არის მათი რიტორიკა.

– რატომ არის ეს პრობლემა?

– პრობლემაა, როცა საპირწონედ ასეთი პოლიტიკური ძალაა, თორემ რა სჯობს ისეთ რეალობას, როცა გამარჯვებულის, ანუ პირველი ადგილის შემდეგ მოდიან პარტიები, რომლებსაც ნორმალური შედეგები აქვთ, როგორც არის სხვა ქვეყნებში – გამარჯვებულის გარდა, ბარიერს 5-7-8 პარტია გადალახავს, ექნებათ 8-10-15-20% და შემდეგ ღირებულებებით, იდეოლოგიით, დაპირებებით დალაგდებიან და ასე შეიკვრებიან კოალიციები.

„ოცნებას“ კარგი მაჩვენებლები აქვს მე-9 წლისთავზე, როგორც პოლიტიკურ პარტიას. მის საპირწონედ (ოპოზიციამ თითქოს შედეგები გაუმჯობესა) რეალურად, არის ერთი პარტია, ნაცმოძრაობა და მისი დღის წესრიგით მოქმედი პარტიები, რომელთა უმეტესობის რეიტინგი, სოციოლოგიური კვლევების ცდომილების ფარგლებშია.

სხვა პარტიებთან შედარებით, მხოლოდ ერთმა ახალმა პარტიამ, გახარიას პარტიამ აჩვენა მაღალი შედეგი, 6 თუ 7%. დანარჩენ პარტიებს აქვთ 1%, 1,5%, 2%. ფაქტობრივად, ეს პარტიები არ არსებობენ. მათ ნაცმოძრაობა ასულდგმულებს და აცოცხლებს.

– ნაცმოძრაობა მათ რატომ აცოცხლებს?

– მათი თითო ხმა მუნიციპალიტეტებში უმრავლესობის შესაკრავად სჭირდებთ. ამავე დროს სურთ საზოგადოებას დაანახონ, თითქოს იქით უმრავლესობაა. ასეთი ილუზიის შექმნა უნდათ, მაგრამ ფაქტობრივად, ერთნი არიან. „ლელოს“ გარდა („ლელოც“ იდეოლოგიურად ყოველთვის ნაცმოძრაობასთან იყო), ყველა დანარჩენი ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი პარტიებია, მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაცმოძრაობაა. მათ შორის, ღირებულებითი სხვაობა არ არის.

შეიძლებოდა ისინი ისევ ერთ პარტიად ჩამოყალიბებულიყვნენ. ამ ცირკის თამაშს სჯობდა. ერთი პარტია „ქართული ოცნებაა“, მეორე პარტია ნაცმოძრაობა, მესამე კიდევ ვიღაც იქნებოდა. პრობლემა ისაა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ნორმალური ველი არ გვაქვს ჩამოყალიბებული განსხვავებული ღირებულებებით და იდეოლოგიით.

– ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ ნაცებზე აღარ ილაპარაკებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურაც აღარ იმოქმედებს ამ მიმართულებით და ის ყველაფერი, რაც ადამიანებმა ილაპარაკეს, დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“?

– „ქართული ოცნების“ ლიდერებს არ გაუკეთებიათ განცხადებები პროკურატურის, ჟურნალისტების ან საექსპერტო წრეების ნაცვლად. მათ საკუთარი პოზიცია გამოხატეს, რომ ისინი აღარ ილაპარაკებენ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობაზე. „ოცნებას“ დასჭირდება გარკვეული პერიოდი (ახლა არის არჩევნების შემდგომი, გარდამავალი პერიოდი), როცა ხელისუფლებამ საკუთარი ხმები უნდა დაიცვას. რყევები მიდის სააკაშვილის სცენარით. ეს პერიოდი არის გადასატანი. მეორე მხრივ, საზოგადოება უნდა მიეჩვიოს და „ქართულმა ოცნებამ“ უნდა ისწავლოს იმ დღის წესრიგის შექმნა, რაც ქვეყანას და დანარჩენ საზოგადოებას სჭირდება, გარდა ნაცმოძრაობისა და ოპოზიციისა.

– ნაცმოძრაობის დღის წესრიგი არ არის ისეთი, რაც ქვეყანას სჭირდება?

– მათი დღის წესრიგი გასაგებია. ჩვენ ამას 9 წელია ვუყურებთ – მუდმივი რყევები, მუდმივი აგრესია, ნეგატივი. ეს არის მათი შემოთავაზება, რაც საზიანოა დანარჩენი საზოგადოებისთვის. 9 წლის მანძილზე ორი უმძიმესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გადავიტანეთ. ერთი, 2014-16 წლებში (შემდგომშიც იყო რყევები), მეორე – ძალიან მძიმე კრიზისი მძვინვარებს ახლა პანდემიის გამო, რაც სერიოზული გამოწვევაა ქვეყნისთვის.

უკულტურო პოლიტიკური პარტიების პირობებში 8 არჩევნები ჩავატარეთ, რომელსაც მუდმივად ახლდა რყევები. ეკონომიკური კრიზისები და შიდა პოლიტიკური რყევები ეკონომიკას ძალიან ურტყამს. ამ პირობებში, მიკვირს, სახელმწიფო კიდევ ფეხზე რომ დგას. ამ პირობებში არა მარტო ფეხზე დგას, გარკვეული წარმატებებიც არის.

– მიუხედავად ყველაფრისა, ოპოზიციას აქციები აქვს დაგეგმილი.

– თუ დავაბრუნებთ ქუჩაში ძიძგილაობას, ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ. მსოფლიო გაცილებით მძიმე ეკონომიკური გამოწვევების წინაშეა. გადახედეთ, რა ხდება ენერგობირჟაზე – ფასების რყევები და კატასტროფული მატება როგორც ნავთობზე, ისე – გაზზე. არის სხვა პრობლემებიც. უარეს ეკონომიკურ სცენარებს მომზადებულები უნდა შევხვდეთ. ქუჩის რყევები კი ამუხრუჭებს ეკონომიკას და ბიზნესკლიმატს აფუჭებს როგორც შიგნით, ასევე, გარედან ინვესტიციების შემოსვლის კუთხით.

– ოპოზიციას ეს რომ არ ადარდებს?

– მესმის, რომ ჩვენს ოპოზიციას ეს არ ადარდებს. პირველად, ბოლო წლების განმავლობაში, 3-წლიანი პაუზა გვექნება, როცა არჩევნები არ იქნება. მხოლოდ ხელისუფლების გასაკეთებელი არ არის საქმე. საზოგადოებაც უნდა მიეჩვიოს ანალიზის გაკეთებას, რა ხდება, რა შეიძლება მივიღოთ და სხვა რელსებზე გადავერთოთ. ჩვენ დღეს შიდა პრობლემებზე უნდა ვსაუბრობდეთ. თუ ისევ ქუჩაში ძიძგილაობას გავაგრძელებთ, ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ.

ამ ყველაფერს ემსახურება ის განცხადებები, რაც გააკეთეს. ვინც არის მომხრე, ოპოზიციიდან ჩაერთოს განხილვებში, თავისი ფუნქცია შეასრულოს, დადებით შედეგს მიიღებს.

თუ „ქართული ოცნება“ დანაპირების შესრულებას ვერ შეძლებს და გეზიდან გადაუხვევს, ისევ ჩაეფლობა ოპოზიციის მარგინალურ პროცესებში, თავად გამარგინალდება და 2024 წლისთვის უმძიმეს შედეგებს მოიმკის.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსა და აშშ-ის ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობა უმნიშვნელოვანესია“

– არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში საქართველოსა და აშშ-ის ძლიერი პარტნიორობა ორი ქვეყნის საერთო ინტერესებისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ერიკა ოლსონთან შეხვედრაზე განაცხადა.

პრემიერმა ხაზი გაუსვა საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ, აუცილებელია ქვეყნის განვითარების დღის წესრიგზე კონცენტრირება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო რჩება რეგიონში აშშ-ის ერთგულ და საიმედო მოკავშირედ.

ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას და ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეებს, ასევე იმ ჰუმანიტარულ პრობლემებს, რომელსაც საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოქალაქეები ყოველდღიურად აწყდებიან. განსაკუთრებით გაესვა ხაზი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში აღინიშნა ახალი სამშვიდობო ფორმატი – სამეზობლოს სამშვიდობო ინიციატივა, რომლითაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეროში გამოვიდა და ამ პროცესში აშშ-ისა და ევროპელი პარტნიორების ჩართულობის მნიშვნელობა. ამერიკულმა მხარემ ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ავღანეთიდან ევაკუაციის ძალისხმევაში.

საუბარი შეეხო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და ამ გზაზე განხორციელებულ რეფორმებს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი და საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ესწრებოდნენ.

პარლამენტში ელენე ხოშტარიასთან სასწრაფო გამოიძახეს

პარტია „დროას“ ლიდერის, ელენე ხოშტარიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პარლამენტში 7 ნოემბერს სასწრაფო დახმარების ჯგუფი გამოიძახეს.

ექიმის განცხადებით, შიმშილობის ფონზე, ელენე ხოშტარიას თავბრუსხვევა და სისუსტე აღენიშნებოდა.

მათ ხოშტარიას გადასხმა შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა.

ელენე ხოშტარია პარლამენტში მე-6 დღეა, შიმშილობს. მისი მოთხოვნაა, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანონ.

ელენე ხოშტარიას შეფასებით, ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ადგილი აქვს ცინიკურ და სადისტურ შურისძიებას.

სალომე ზურაბიშვილმა კობა დავითაშვილი ღირსების მედლით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კობა დავითაშვილი, სიკვდილის შემდეგ, ღირსების მედლით დააჯილდოვა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

„დღეს, 7 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებით და ქართველის ხალხის სახელით, კიდევ ერთხელ გამოხატავს მადლიერებასა და პატივისცემას კობა დავითაშვილის, როგორც 2007 წლის 7 ნოემბრის მსხვერპლის მიმართ, იმ პოლიტიკოსის მიმართ, რომელმაც საკუთარი ჯანმრთელობა და სიცოცხლე შესწირა ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლას და სამართლიანობას!“ – აღნიშნულია ინფორმაციაში, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ხელისუფლება მიღებს ისეთ პროტესტს, რომელიც 9 წლის განმავლობაში არ უნახავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– სუს-ის განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. როცა საპროტესტო ტალღა აგორდება, ყოველთვის სისულელეს ამბობენ ხოლმე, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები აღარ აღიქვამენ სერიოზულად. სუს-ს 150 მილიონი აქვს ბიუჯეტი, რომელიც რამდენიმე რაიონის შენახვას ეყოფოდა. ამ თანხის 99% ხმარდება ოპოზიციის დევნას და „ქართული ოცნების“ საარჩევნო მომსახურებას. სინამდვილეში ეს არის „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების სამსახური და არა სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური. ამ სამსახურის მთელი რესურსები მიმართულია „ოცნების“ ხელისუფლების შესანარჩუნებლად. გვინახავს რაიმე სერიოზული საქმე, რომელიც სუსმა გამოიძია?!

– ბატონო რომან, ბოლო პერიოდია ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ რთული ვითარებაა, საუბარია, რომ ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილი დატოვებს საქართველოსო. რა ბედი ელის „ოცნებას“ ამ შემთხვევაში?

– მე არ მინდა „ოცნების“ შიგნით არსებულ ვითარებაზე ჭორაობა. ფაქტია, რომ ცუდ დღეში არიან, ფაქტია, რომ „ოცნება“ რეალურად არ არსებობს. იქ არიან ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ივანიშვილს და მხოლოდ მის ბრძანებებს ემორჩილებიან. ივანიშვილის ქვეყნიდან გაქცევის მუსირებაც არა მგონია სწორი, თუ ეს ინფორმაცია არ არის დადასტურებული, ვინაიდან ამან შესაძლოა, პირიქით, უარყოფითად იმოქმედოს და ოპოზიცია დაუზარალოს. რადგან შესაძლოა ოპოზიციამ საქმე დამთავრებულად ჩათვალოს და მოდუნდეს, ზოგი იფიქრებს, თუკი ივანიშვილი გარბის, ე.ი. საქმე კარგადაა და ბრძოლას თავი დაანებოს. რაც არასწორი იქნება. ივანიშვილი არსად არ წავა, რადგან არსად არა აქვს წასასვლელი. წავა რუსეთში? იქ კრიმინალები გაუსწორდებიან, წავა ევროპაში, იქ სხვა პრობლემები ექნება. ასე ადვილად არ არის მისი წასვლა-წამოსვლის საკითხი და ნუ გავამარტივებთ, რადგან ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური შეცდომა. არ დათმობს ივანიშვილი ასე მარტივად. ამიტომ საჭიროა უფრო მეტი კონსოლიდაცია ოპოზიციის, მეტი აქტივობა. ერთი რამ ფაქტია, პირველივე რიგგარეშე არჩევნებზე, რომელიც ჩატარდება პროპორციული წესით, ივანიშვილის „ქართული ოცნება“ სასტიკად წააგებს.

– იქნება რიგგარეშე არჩევნები?

– აუცილებლად იქნება. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ არ გაბედოს ხელისუფლებამ და პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები არ ჩააგდოს. ამ დოკუმენტს ჩვენ დავუჭირეთ მხარი და ასევე ვაპირებთ მეორე და მესამე მოსმენითაც მხარი დავუჭიროთ, მიუხედავად იმისა, რომ ბოიკოტის რეჟიმში ვართ. თუ არ იქნება საკონსტიტუციო ცვლილებები, ისევ „ოცნება“ იქნება ხელისუფლებაში. ცვლილებები უნდა გატარდეს და ამის შემდეგ ნებისმიერი არჩევნები იქნება ამ ხელისუფლების შეცვლის არჩევნები. თუ ეს წაგებული პარტია ივანიშვილმა მართლა მიატოვა, მაშინ ის მოქალაქეთა კავშირის ბედს გაიზიარებს.

ბარსელონაში ქართველ კრიმინალებს კასპელი ძმები ლიპარტელიანები მეთაურობდნენ

ესპანეთში საქართველოს 8 მოქალაქე დააკავეს

ესპანეთში ქართველების წინააღმდეგ მორიგი სპეცოპერაცია ჩატარდა. დაკავებულია საქართველოს 8 მოქალაქე.

ესპანეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაცია სამოქალაქო გვარდიამ და კატალონიის პოლიციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩაატარა. მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში დაკავებულია საქართველოს 8 და რუსეთის ფედერაციის 1 მოქალაქე. დაჯგუფება ბარსელონაში 40-მდე სახლის ძარცვაზეა პასუხისმგებელი.

ქართველების დაკავება ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. პრესა წერს, რომ ბარსელონაში გამოვლენილი დანაშაულებრივი ქსელის სათავეში ქართველი ძმები იდგნენ, რომლებიც 2017 წლიდან ესპანეთში ოჯახთან, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად ცხოვრობდნენ.

დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერები ძმები – გიორგი და ლევან ლიპარტელიანები არიან. „კურიერი“ კასპში, მათ საცხოვრებელ მისამართებზეც იმყოფებოდა.

ესპანელმა სამართალდამცველებმა ხელბორკილები დაადეს ამავე დაჯგუფების წევრს, 56 წლის ელგუჯა სიმსივესაც. ქუთაისში მისი მეზობლები ყვებიან, რომ დაკავებული წარსულში საქართველოშიც ნასამართლევი იყო.

ბარსელონაში დაკავებულ ქართველებს შორის რამდენიმე ქალია. გამოძიების ინფორმაციით, დაჯგუფების წევრები წყვილებად იყოფოდნენ, რათა დანაშაულებრივი გეგმის შესახებ ეჭვი არავის გასჩენოდა.

სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „ბანუს“ ესპანეთში საქართველოს პოლიციის ატაშეს უშუალო მონაწილეობით ჩატარდა.

ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებით გამოეხმაურა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით, კვლავ აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს ქალაქ ბარსელონაში ჩატარდა მასშტაბური სპეცოპერაცია სახელწოდებით – „ბანუს“.

სპეცოპერაციას წინ უძღოდა ესპანეთის სამეფოს კატალონიის ავტონომიური პოლიციის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის დანაყოფის, ესპანეთის სამოქალაქო გვარდიისა და ესპანეთის სამეფოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პოლიციის ატაშეს თანამშრომლობით დანაშაულის გამოვლენის, ზემოთ აღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე, მათი კავშირების დადგენისა და ოპერაციის დაგეგმვის მიზნით განხორციელებული ერთწლიანი ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები.

ესპანელმა სამართალდამცველებმა, სპეცოპერაციის შედეგად, კრიმინალური დაჯგუფების წევრები – 9 პირი დააკავეს, მათ შორის საქართველოს 8, ერთი კი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

მათ ბრალად ედებათ ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე და 570-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც გულისხმობს ესპანეთის სამეფოს ტერიტორიაზე ჩადენილ ბინების ქურდობას, ასევე კრიმინალურ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობას და 5 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე გაიჩხრიკა დაკავებულების საცხოვრებელი 7 ბინა. ბრალდებულები სასამართლოს წინაშე 22 ოქტომბერს წარდგნენ“ – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიციელი დავით მესხი პოლიციელ პაპუნა ლოლუას მკვლელობისთვის დააკავეს

5 ნოემბერს სამეგრელოში, სოფელ ჭალადიდში პოლიციელმა პოლიციელი მოკლა.

მკვლელობა პოლიციის განყოფილებაში მოხდა. პოლიციელმა კოლეგა სამორიგეო ოთახში 14 ტყვიით ჩაცხრილა.

პოლიციელის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული სამართალდამცავი 32 წლის დავით მესხია.

ლოლუა და მესხი სოფელ ჭალადიდში მეზობლად ცხოვრობდნენ და ხობის პოლიციაში ერთად მუშაობდნენ.

მესხის ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ მამაკაცი ალკოჰოლს იღებდა. ლოლუას ბიძაშვილმა კი „ტვ პირველს“ უთხრა, რომ ბრალდებული პოლიციიდან „პათოლოგიური სიმთვრალის გამო“ არაერთხელ გაათავისუფლეს.

– ვინც დააბრუნა სამსახურში, ის არის დასაჭერი და მოსახსნელი. მოხსნილი იყო 4-ჯერ სამსახურიდან მკვლელი. მოფიქრებული მკვლელობაა.. – ამბობენ მოკლული პაპუნა ლოლუას ახლობლები.

– არ იყო კონფლიქტური პაპუნა. მშვიდი, ძალიან გაწონასწორებული იყო....ავტომატურზე იყო და ეტყობა ვერ დაიჭირა და შეიძლება მთლად ასე არ უნდოდა, ან შესაშინებლად უნდოდა, – ამბობს პაპუნა ლოლუას ახლობელი.

საქართველოს პროკურატურამ უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ დავით მესხს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 5 ნოემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში მდებარე, შსს ხობის რაიონული სამართველოს ჭალადიდის პოლიციის განყოფილების შენობაში, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მასზე განპიროვნებული სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით, ამავე განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს ჭრილობები მიაყენა, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გორში ბიზნესმენი რაულ გაგოშიძე დაჭრეს

5 ნოემბერს გორში ბიზნესმენი რაულ გაგოშიძე დაჭრეს.

კაცს ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული. გაგოშიძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანა.

ბიზნესმენი საქართველოში ამერიკიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი პირი: 1969 წელს დაბადებული მ.ნ. და 1996 წელს დაბადებული ტ.ნ დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მ.ნ.-ს ბრალი ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ხოლო ტ.ნ. დაკავებულია ძალადობის ბრალდებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.ნ.-მ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს, გორში, ფინანსური დავის ნიადაგზე წარმოქმნილი ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობს -1972 წელს დაბადებული რ.გ.-ს ბასრი საგნის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მ.ნ.-სა და რ.გ.-ს შორის მომხდარი დაპირისპირებისას, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ბრალდებული მ.ნ.-ის შვილი – ტ.ნ. და დაჭრილი მამაკაცის შვილი – 2001 წელს დაბადებული ს.გ., რომელსაც ტ.ნ.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციამ მ.ნ. და ტ.ნ მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

უწყების ცნობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ძალადობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე და 126-ე მუხლებით მიმდინარეობს.

16 მილიონი ლარის ღირებულების მიწის 2 ნაკვეთის მითვისებისთვის რუსეთის მოქალაქე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებისა და ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სხვა პირების დახმარებით, ქ. თბილისში მდებარე, ერთ-ერთი კომპანიის საკუთრებაში რიცხული, ჯამში 47.800 კვ/მ მოცულობის ორი მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით, გააყალბა აღნიშნული კომპანიის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გახდა მისი ერთპიროვნული დირექტორი და დამფუძნებელი, რის შემდგომაც მიწის ნაკვეთები გადააფორმა თავისსავე სახელზე რეგისტრირებულ სხვა კომპანიაზე. როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განმარტავენ, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდგომ, ბრალდებული გეგმავდა მიწის ნაკვეთების იპოთეკით დატვირთვას 200.000 აშშ დოლარამდე თანხის დაუფლების მიზნით, როდესაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიების პროცესში მიწის ნაკვეთებს დაედო ყადაღა. წინასწარი მონაცემებით, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება აღემატება 16 მილიონ ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 და 210-ე მუხლის პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები, აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

თბილისსა და ქობულეთში იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და ქობულეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1999 წელს დაბადებული ლ.ბ. თბილისში, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ადგილზე დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ბრაუნინგის მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი.

რაც შეეხება მეორე პირს, 1991 წელს დაბადებული გ.კ. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. სამართალდამცველებმა, ქალაქ ქობულეთში, ბრალდებულის დროებით საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი, 2 მჭიდი და 46 საბრძოლო ვაზნა.

უწყების ცნობით, დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ორივე ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ლ.შ-მ ფეისბუქში 14 პირისგან 3.930 ლარი მიითვისა

პოლიციამ კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ბრალდებით 1 პირი დააკავა.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში არაერთგზის უნებართვო შეღწევის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 286-ე მუხლით მიმდინარეობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში არაერთგზის უნებართვო შეღწევის ბრალდებით დაკავეს 1998 წელს დაბადებული ლ.შ., რომელიც წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის არის ნასამართლევი. გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.შ.-მ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ შექმნა გვერდი, რომლის საშუალებითაც მას მოქალაქეები შეცდომაში შეჰყავდა, რომ დაბალპროცენტიან სწრაფ სესხებს გასცემდა.

დაინტერესებული მოქალაქეები აღნიშნულ გვერდზე საკუთარ საბანკო პლასტიკური ბარათის მონაცემებს აგზავნიდნენ, რომლებიც რეალურად ლ. შ.-ს პირად გვერდზე იგზავნებოდა. მონაცემების მიღების შემდეგ, ბრალდებული მოქალაქეების კუთვნილი ანგარიშებიდან ტოტალიზატორის ანგარიშზე სხვადასხვა თანხას ირიცხავდა, შემდეგ კი პლასტიკური ბარათით ანაღდებდა. გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია 14 დაზარალებული, მათთვის მიყენებული ზარალი კი 3.930 ლარს შეადგენს.

პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერულ სისტემაში არაერთგზის უნებართვო შეღწევის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისში თემქაზე 27 წლის ქალი გაზით გაიგუდა

თბილისში, თემქის დასახლებაში, 27 წლის ქალი გაზით გაიგუდა.

შემთხვევა 5 ნოემბერს მოხდა.

პრაიმტაიმის ცნობით, გაზის გაჟონვის დროს ქალი სახლში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.

სასწრაფოს ბრიგადამ მამაკაცის გადარჩენა შეძლო, ქალის გადარჩენა კი ვერ მოხერხდა.

გარდაცვლილი ქალი სალომე მარტაშვილია.

სალომე მარტაშვილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეში გადაასვენეს.

მას 3 წლის შვილი დარჩა, რომელიც შემთხვევის დროს ბებიასთან იმყოფებოდა.

ოდიშში ფიფიების სახლი დაიწვა

ზუგდიდის სოფელ ოდიშში მცხოვრები ფიფიების სახლი სრულად დაიწვა.

პრაიმტაიმის ინფორმაციით, ფიფიების სახლში ცეცხლი მაშინ გაჩნდა, როცა იქ 3 მცირეწლოვანი და 2 მოზარდი იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

მეზობლების ინფორმაციით, ბავშვებთან მხოლოდ ბებია იმყოფებოდა, რომელმაც ბავშვების გამოყვანა დროულად მოახერხა.

სოფელში მერის წარმომადგენელმა რუსგენ ბულიამ განაცხადა, რომ ოჯახმა მხოლოდ 1 საწოლის გამოტანა მოახერხა, სხვა ნივთები დაიწვა.

მისივე ცნობით, ცეცხლი მეზობელ სახლსაც გადაედო, თუმცა ადგილზე მობილიზებულმა მაშველებმა მაშინვე ჩააქრეს.

რუსგენ ბულიას თქმით, ცეცხლი სხვენს გაუჩნდა, თუმცა რატომ, ამის შესახებ არაფერი იცის.

ერაყის პრემიერ თავდასხმას გადაურჩა

ერაყელი სამხედროების განცხადებით, პრემიერ-მინისტრი მუსტაფა ალ-კადიმი მკვლელობის მცდელობას გადაურჩა მას შემდეგ, რაც დრონი ასაფეთქებელი ნივთიერებებით დედაქალაქ ბაღდადში, მის რეზიდენციას დაუმიზნეს.

თავდასხმის შედეგად კადიმის პირადი დაცვის რამდენიმე წევრი დაშავდა.

მომხდარს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოეხმაურა.

„ჩვენ მჭიდრო კავშირში ვართ ერაყის უსაფრთხოების ძალებთან, რომლებსაც ევალებათ ერაყის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვა და ვთავაზობთ დახმარებას ამ თავდასხმის გამოძიებისას“ – აღნიშნულია განცხადებაში.

უშიშროების წარმომადგენლის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ უდგას თავდასხმას სათავეში.

– ახლა ნაადრევია იმის თქმა, თუ ვინ განახორციელა თავდასხმა, – აღნიშნა წარმომადგენელმა.

მისი თქმით, ისინი სადაზვერვო ანგარიშებს ამოწმებენ და პირველადი გამოძიების შედეგებს ელოდებიან.

ესპანეთში პალმას აეროპორტიდან 24 მგზავრი გაიქცა

ესპანეთის ქალაქ პალმაში მდებარე აეროპორტში ათობით რეისი შეფერხდა.

მიზეზი 24 მგზავრის მიერ აეროპორტიდან გაქცევისა და მიგრაციის მიზნით ქვეყანაში არალეგალური შელწევის მცდელობა იყო.

აეროპორტის მუშაობა 4 საათის განმავლობაში შეჩერდა, მგზავრები მაროკოდან თურქეთისკენ მიფრინავდნენ. თვითმფრინავი ქალაქ პალმაში მას შემდეგ დაეშვა, რაც საგანგებო სამსახურში მგზავრისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შესახებ ცრუ შეტყობინება შევიდა.

ამ დროისთვის დაკავებულია 12 ადამიანი.

ნიუ იორკის ახალი მერი ხელფასს ბიტკოინებით აიღებს

პირველად ნიუ იორკში ქალაქის ახლად არჩეული მერი ხელფასს კრიპტოვალუტის სახით აიღებს.

ერიკ ადამსის მიზანია, რომ ნიუ იორკი კრიპტოვალუტის ინდუსტრიის ცენტრად აქციოს, ამიტომ ახლად არჩეულ მერის სურვილია, პირველი 3 ხელფასი ბიტკოინის სახით მიიღოს.

ერიკ ადამსმა ნიუ იორკის მერის პოსტზე დემოკრატი ბილ დე ბლაზიო ჩაანაცვლა, რომელიც ქალაქის მერი 7 წლის განმავლობაში იყო. ადამსმა მერის არჩევნებზე კონკურენტი, ამერიკელი რადიოწამყვანი, რესპუბლიკელი კურტის სლივა 37 პროცენტიანი სხვაობით დაამარცხა.

ერიკ ადამსი, ნიუ იორკში მეორე ფერადკანიანი მერია, რომელიც ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ქალაქის მმართველი გახდა.

პირველი ფერადკანიანი მერი დევიდ დინკინსი იყო, რომელიც ქალაქს 1990-1993 წლებში მართავდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ვილი სანიოლი: „ფეხბურთი ქაღალდზე გვარების ჩამოწერა არაა“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 11 და 15 ნოემბერს ორ მატჩს ითამაშებს და წელს დაასრულებს. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის ბოლო შეხვედრაში ბათუმში შვედეთს ვუმასპინძლებთ, 15 ნოემბერს კი, გორში უზბეკეთს ამხანაგურად ვეთამაშებით.

წლის ბოლო მატჩების წინ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა პრეს-კონფერენცია გამართა.

ვილი სანიოლი:

– ფეხბურთი მხოლოდ შემადგენლობის დაყენება და ქაღალდზე გვარების ჩამოწერა რომ იყოს, მაშინ საჭირო არ ვიქნებოდი. ვცდილობ, ვიყო სამართლიანი გადაწყვეტილებები გულით და გონებით მივიღო. გარდა ამისა, არის ფიფას წესები, რომლის დედლაინის დარღვევა არ შემიძლია. შემადგენლობის დასახელება მოხდა მანამდე, სანამ ქვილითაია 2 გოლს გაიტანდა. თუმცა, მინდა უფრო თავდაჯერებული იყოს. ამასთან, ნიკა კაჭარავაც იმსახურებს შანსის მიცემას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ფეხბურთელმა მიიღოს შანსი, ვინც ამას იმსახურებს. არ შემიძლია გუნდში 10 თავდამსხმელის გამოძახება. საჭიროა ბალანსის დაცვა. ქვილითაია რომ სიაში შემეყვანა, შეიძლება ვინმეს ეკითხა, რატომ არ გამოვიძახე მიქაუტაძე, ან პირიქით. ქვილითაიასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა....

სიის შედგენისას ბევრი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო. მაგალითად, სექტემბრის შემადგენლობაზე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ კვეკვესკირს, კვარაცხელიას და ოქრიაშვილს ტრავმები ჰქონდათ. მაშინ დავიმატეთ ფანცულაია, რომელიც კარგ ფორმაში იყო, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო. შემადგენლობის გამოძახებისას, კონკრეტული სია დგება მეტოქიდან და იმ პერიოდში ფეხბურთელების ფორმიდან გამომდინარე....

იმედი მაქვს, მომავალში უფრო მეტი ქართველი ფეხბურთელი ტოპ-ჩემპიონატებში ითამაშებს. ვიმედოვნებ, რომ მალე რამდენიმე ფეხბურთელი იქნება „ორთქლმავალი“, რომელიც მთელ გუნდს გაუძღვება. ახლა ჩვენი მიზანია, რომ ნებისმიერ მატჩში 90 წუთი ვიბრძოლოთ, როგორც ეს იყო კოსოვოსთან. არ ვიცი, მოვიგებთ თუ არა შვედეთთან, მაგრამ მიმაჩნია, რომ უნდა იყოს ბრძოლა, მონდომება და ჟინი, რომელიც დავინახეთ კოსოვოსთან შეხვედრაში...

შედეგი, რომელიც ბოლო მატჩებში გვქონდა, გულდასაწყვეტია. ცუდ შედეგზე პირველი პასუხისმგებელი ყოველთვის მწვრთნელია. იყო შესაძლებლობა, რომ რაღაცები სხვანაირად გაკეთებულიყო. მეტი მოლოდინი იყო კოსოვოსთან საშინაო მატჩის წინ. მათ ჰყავთ ძლიერი ფეხბურთელები, რომლებსაც სხვანაირად დავხვდით. კოსოვოსთან სტუმრად თავგანწირვა დავინახე, რაც აუცილებელია. ამ მატჩმა დაგვანახა, თუ ბოლომდე დავიხარჯებით, შანსი გვექნება. მარტის ფანჯარა ძალიან კარგი იყო, სექტემბერი – ცუდი, ამაში გეთანხმებით. ჩვენ არ გვყავს მესი, ნეიმარი, პელე და მარადონა, მაგრამ გვაქვს ის სულისკვეთება, რომლითაც ბოლომდე დახარჯვა და ყველა მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება...

პირველი, რასაც ვეძებთ, ეს არის სტაბილურობა. თუ დავაკვირდებით წარმატებულ გუნდებს, ბევრ ფეხბურთელს არ ცვლიან. მარტში ამ მხრივ გვქონდა სტაბილურობა, ხოლო სექტემბერში არა, რადგან იყო ტრავმებიც და დისკვალიფიკაციებიც. ვსწავლობ, რომ ნაკრებმა სტაბილურობა შეიძინოს...

ზაფხულის პერიოდში პრესაში მთელი თეატრი იყო ხვიჩა კვარაცხელიასთან დაკავშირებით. ის 20 წლის ფეხბურთელია და სიმშვიდე სჭირდება. აღარ მინდა ვისაუბრო, ვინ უკეთესი ფეხბურთელია და ვინ რომელ გუნდში თამაშობს. მინდა, რომ გვყავდეს ბირთვი, რომელსაც დავეყრდნობით. გვყავს ახალგაზრდა მოთამაშეები, რომელთაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებათ და აქვთ პოტენციალი, რომ ნაკრები გააძლიერონ. ჩაკვეტაძეც დიდი ტალანტია, მაგრამ ჯერ კიდევ სჭირდება დრო, რომ მოამზადოს თავისი სხეული, როგორც ათლეტმა.

მინდოდა, რომ შესარჩევი მესამე ადგილზე, ან უფრო მაღალ საფეხურზე დაგვესრულებინა. მეც და ფეხბურთის ფედერაციასაც გვინდა, რომ კარგი შედეგები გვქონდეს. ფეხბურთი არ არის 6-თვიანი პროექტი, არამედ უფრო მეტი დრო სჭირდება. წინ გველოდება მნიშვნელოვანი თამაშები – მაგალითად, ერთა ლიგა. თუმცა, ახლა პირველი მიზანია, ეს შესარჩევი ციკლი კარგად დავასრულოთ, ისევე, როგორც უზბეკეთთან ტესტმატჩში თავი კარგად უნდა წარმოვაჩინოთ.

ბერიძეს საკმაოდ კარგი 25 წუთი ჰქონდა შვედეთში, მაგრამ შემდეგ რთული მატჩი იყო ესპანეთთან. ვაკვირდებით გიორგის, ასევე ლევან შენგელიას და დავით ოლკოვს, რომლებიც კარგი შემტევები არიან. თუმცა, 24-25 ფეხბურთელზე მეტის გამოძახება არ შემიძლია. ყოველთვის მეკითხებიან შემტევ ფეხბურთელებზე, რომლებიც არ არიან სიაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მცველებიც და ვისურვებდი, რომ მათზე მეტი შეკითხვა იყოს. სწორედ კარგი დაცვის ხარჯზე მოვიგეთ კოსოვოში და ამის ხარჯზე შეგვექმნა შეტევაში შესაძლებლობები....

კვეკვესკირი და გვილია ტექნიკური ფეხბურთელები არიან, კოსოვოსთან მათი ურთიერთგაგებით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. როცა ასეთი მოთამაშეები მოედანზე გყავს, შეგიძლია, მეტოქე უფრო მეტი არბენინო, იყო უფრო მეტად დომინანტი და ეს გუნდზე დადებითად აისახება. იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით შვედეთთან მატჩის შემდეგ პოზიტიური განწყობის საფუძველი მექნება....

საკმაოდ რთულია შვედეთთან წინასწარ მოგებაზე საუბარი, მაგრამ ამის ამბიცია არის. მთავარია, სწორი სულისკვეთება. არ მინდა წინასწარ ტაქტიკაზე საუბარი. რაც შეეხება კაკაბაძის ახალ პოზიციას, თავი კარგად წარმოაჩინა. ლობჟანიძესაც აქვს მაღალი ფიტნესმოცულობა და შეუძლია მაღალი ინტენსივობის მოქმედებები. ცოტა გაუჭირდა დაცვითი ფუნქციების შესრულება, მაგრამ კმაყოფილი ვარ, თუ როგორი იყო მათი ურთიერთქმედება ახალ პოზიციებზე. აუცილებლად მინდა ოქრიაშვილზეც ვთქვა: ის უფრო შუაში მოქმედებდა და ძალიან კარგი იყო კოსოვოსთან მატჩში. საკვანძო ალბათ ის იყო, რომ მთელი გუნდი გუნდისთვის თამაშობდა და სწორედ ამით ვარ მოხარული...

ნაკრებში ვითხოვ დისციპლინას, მათ შორის ტაქტიკურ დისციპლინას. კოსოვოში მოვიგეთ – შეიძლება ეს არ იყო იდეალური თამაში, მაგრამ ყველა ფეხბურთელი პატივს სცემდა ტაქტიკას, გუნდურ დისციპლინას და მათ ესმოდათ, რისი გაკეთება უნდოდა გუნდს მოედანზე. როცა დავინიშნე, სწრაფად მოგვიწია რამდენიმე თამაში და მაშინ დავინახე, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები გუნდში უნდა გვყავდეს და პროცესი ამ მიმართულებით მიდის. დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრები უახლოეს წლებში უფრო ძლიერი გახდება და ვფიქრობ, როცა კარგად და თავდაუზოგავად მუშაობ, შედეგი არ დააყოვნებს და აუცილებლად უკან დაგიბრუნდება. გრძელვადიან პერსპექტივაზე ვერ ვისაუბრებ, ეს უფრო ფედერაციის საქმეა, მაგრამ ხანგრძლივი პროექტები ნაკრებში უფრო ნაკლებად არსებობს...

შვედეთის ნაკრები იბრაჰიმოვიჩთან ერთად და მის გარეშე 2 სხვადასხვა გუნდია. გვინდა, რომ შვედეთი იბრაჰიმოვიჩით ვნახოთ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ მას ფეხბურთისთვის დიდი საქმე აქვს გაკეთებული და შეგვიძლია ვიოცნებოთ, რომ ის კარიერას არასდროს დაასრულებს. ეს ჩვენი ფეხბურთელებისთვის კარგია, ასეთი მოთამაშეების წინააღმდეგ თამაშით ისინი იზრდებიან, ბევრს სწავლობენ და ეს მხოლოდ დადებითია. იბრა ჩვენს წინააღმდეგ იყო შვედეთში და მაშინ დაცვაში პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშეთ და ვიმედოვნებ, რომ ასევე წარმატებით შევძლებთ მომდევნო შეხვედრაში მის წინააღმდეგ თამაშს.

ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძვის

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიო 2023 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში დიდი ბრიტანეთის ნაკრებს გაეჯიბრა და 32:26 დაამარცხა.

სანდუ ფლორინ იაკუბის გაწვრთნილმა გუნდმა ცუდად დაიწყო და ორი ბურთით ჩამორჩა – 0:2, 1:3, 2:4... მეექვსე წუთზე კალანდაძემ გაათანაბრა. მეშვიდე წუთზე მეტოქე ერთხელაც გავიდა წინ 5:4 და...საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დაიწყო. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა სრული უპირატესობა მოიპოვა და შესვენებამდე დარჩენილი ნაწილი 13:4, ხოლო ტაიმი 17:9 მოიგო.

მეორე ტაიმში ჩვენების უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა – 29:19. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტაქტიკური გადაწყვეტილებით ძირითადი შემადგენლობა აღარ გადატვირთა და ბრიტანელებმა ოდნავ შეამცირეს სხვაობა.

რევაზ ჭანტურიამ ექვსი დარტყმიდან 6 გოლი შეაგდო, 5-5 ბურთი თეიმურაზ ორჯონიკიძისა და ერეკლე არსენაშვილის ანგარიშზეა.

ჩვენივე ჯგუფში ფინელებმა 35:30 დაამარცხეს ესტონეთის ნაკრები და საქართველოს ნაკრების დარად ორი ქულა მოუგროვდათ.

საქართველო მეორე ტურში მასპინძელ ფინეთს დაუზავდა – 29:29. არადა, ჩვენებმა პირველი ტაიმი 18:15 მოიგეს. საქმის ბოლომდე წარმატებით მიყვანის შემთხვევაში ჩვენები შემდეგ ეტაპზე გადაინაცვლებდნენ. ახლა საქმე ბოლო ტურისთვის გადადეს.

ფინელებთან მატჩში ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მეტი გოლი ირაკლი კბილაშვილმა გაიტანა – 8. თეიმურაზ ორჯონიკიძემ 7-ჯერ, ხოლო რევაზ ჭანტურიამ და ერეკლე არსენაშვილმა 5-ჯერ გამოიჩინეს თავი.

საქართველოსა და ფინეთის ნაკრებებს 3-3 ქულა დაუგროვდათ. ესტონეთმა 34:22 მოუგო დიდ ბრიტანეთს და ორი ქულა აქვს. ჯგუფში ორი საუკეთესო გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებს. ასე რომ, ჩვენს გუნდს ჯგუფიდან გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯანლეიდოსპორტი

ქალმა საკუთარ ფერმაში უიშვიათესი „ვირთხების მეფე“ აღმოაჩინა

ესტონეთში ფერმაში ქალმა ერთმანეთზე კუდებით გადაბმული 13 ვირთხა აღმოაჩინა.

ფერმერის დედა, სახელად იოჰან უიბოპუ, დილით საქათმეში წავიდა მათთვის საკვების მისაცემად და საქათმის შესასვლელთან შენიშნა ვირთხების გუნდი, რომლებიც სოროს გამოთხრას ცდილობდნენ, მაგრამ გაიჭედნენ. ერთმანეთზე გადაბმულ მღრღნელებს „ვირთხების მეფეს“ უწოდებენ და ეს უკიდურესად იშვიათი მოვლენაა. სავარაუდოდ, ეს მაშინ ხდება, როდესაც ვირთხები რაიმე წებოვანი მასით ისვრებიან, შემდეგ სოროში ერთად იძინებენ. ძილში ისინი ერთმანეთს კუდებით ებმებიან, ხოლო გაღვიძების შემდეგ სხვადასხვა მხარეს გაქცევას ცდილობენ, თუმცა ნასკვი სულ უფრო მეტად იკვრება.

კუდებით გადაბმულებს ნორმალურად არსებობა და გადაადგილება არ შეუძლიათ, ამიტომ შიმშილის ან სხვა მტაცებლების მსხვერპლნი ხდებიან. ყველაზე ხშირად მათ ადამიანები ხოცავენ.

მოდელმა ათასობით ფუნტი დახარჯა ძაღლების ჩასაცმელზე

ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ აშფორდის მცხოვრებმა, 20 წლის მოდელმა ლორენ ნაიტმა დაახლოებით შვიდი ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა თავისი ძაღლების ბრენდულ ჩასაცმელზე.

ორი პომერანული შპიცის მიმის და მილოს პატრონი აღიარებს, რომ თავის საყვარელ ძაღლებს მინიმუმ 400 ნივთი უყიდა და მათთვის საკუთარი ჩასაცმლის კარადა დაამზადებინა. ის ცდილობს ძაღლები ყველაზე საუკეთესო სამოსში გამოაწყოს, ამიტომ მათ კარადაში უამრავ მოდური ბრენდების ჩასაცმელს შეხვდებით.

მოდელი ყოველდღე ძაღლებისთვის არჩევს ჩასაცმელს და მათ გარეგნობას უხამებს. ნაიტმა ძაღლების ჩასაცმლის მცირე მაღაზიაც კი გახსნა და იქ მიმი და მილო ბრენდების მოდელებად დაასაქმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანადაში ბიოლოგიის გაკვეთილი ცხენირემმა ჩაშალა

კანადის სკოლაში საკლასო ოთახში ცხენირემი შეიჭრა და ამით ბიოლოგიის გაკვეთილი ჩაშალა. ტვიტერში გამოქვეყნებული ამ შემთხვევის ამსახველმა კადრებმა ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ყურადღება მიიპყრო.

ერთ-ერთი მოსწავლის დედამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გარეული ცხოველი დილით ერთ-ერთი საკლასო ოთახის მახლობლად შენიშნეს.

– ჩემმა უმცროსმა შვილმა ფანჯრიდან ყვირილი ატეხა: „დედა, იქ ცხენირემია“ – იხსენებს ქალი, რომელმაც თავადაც შენიშნა ცხოველი, რომელიც მოგვიანებით კლასში შეიჭრა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სურათზე ჩანს, თუ როგორ დგას ნამსხვრევების გარემოცვაში ცხენირემი კლასის შუაგულში. კიდევ ერთ ფოტოსურათზე ცხენირემი შესასვლელის მახლობლად წამოწოლილია ასახული.

ტვიტერში გამოქვეყნებული ფოტოსურათების ავტორმა პეტ დიუბუამ განაცხადა, რომ დაუპატიჟებელმა სტუმარმა, როგორც ჩანს, დაზიანებები მიიღო.

– ახლა ცხენირემი ისვენებს, ხოლო სკოლაში ელოდებიან გარეული ცხოველების კონტროლის სამსახურის თანამშრომლების მოსვლას, – დაწერა მან ერთ-ერთი კადრისთვის თანდართულ კომენტარში.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა ცხოველი დააძინეს და შემდეგ უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დინამოელების ქულების დაკარგვით ბათუმელებმა უფრო იხეირეს

ლოკომოტივი-დინამო (ბთ) 0:0

საგურამო. ლოკო-საგურამო

ლოკომოტივი: თევდორაძე, გაბაძე, ვადი, სანდოხაძე, ქველაძე, ანდრონიკაშვილი (იაკობიძე 79), შონია, სამურკასოვი (დიასამიძე 86), დარცმელია, იმრანი (კახაბრიშვილი 86), სიხარულიძე

დინამო: კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, კობახიძე, ჩაბრაძე (გაფრინდაშვილი 71), ალთუნაშვილი, ტეიდი, ფლამარიონი (ნიქაბაძე 84), ჯიღაური (შინდაგორიძე 90), მამუჩაშვილი, ფანცულაია (ზარია 71)

საჩემპიონო ბრძოლაში ჩართულმა ბათუმის დინამომ მორიგი ქულები დაკარგა. თუმცა, უშუალო კონკურენტმა პატივი „სცა“ და ზღვისპირული გუნდი სატურნირო ცხრილში ქულებით კიდევ უფრო დაწინაურდა.

თავის მხრივ ლოკომოტივმა საჭირო ქულები მოიპოვა და ჯერ ისევ რჩება ევროსაგზურისთვის ბრძოლაში.

დილა-დინამო (თბ) 1:0

გორი. „თენგიზ ბურჯანაძე“

1:0 ბიძინაშვილი (47)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი (ნემსაძე 76), ნონდი, მაისაშვილი (კ) (მანზი 73), სილვა, სანტოსი, გაგნიძე, ღუდუშაური (ბულრიძე 72), ბიძინაშვილი (მოსიაშვილი 72), კამარა, მადინგა

დინამო: პრიეტო, ხვადაგიანი, პაპავა, ბენიო, ხარაბაძე (გაბედავა 80), რადინი (მოისწრაფიშვილი 69), მექვაბიშვილი, სპორკსლედე (მორჩილაძე 69), ბარნსი (ქარდავა 80), მარუშიჩი, ქავთარაძე (კუცია 56)

ბათუმის დინამოს წაფორხილებით ვერ ისარგებლა თბილისის დინამომ. დედაქალაქურ გუნდს შეეძლო ლიდერთან სხვაობა 2 ქულამდე დაეყვანა, მაგრამ სულაც წააგო და 5 ქულით ჩამორჩა.

დილამ ბიძინაშვილის ერთადერთი გოლით მოიგო და, ფაქტობრივად, მესამე ადგილი გაინაღდა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	33	19	11	3	66-25	68
2.დინამო (თბ)	33	19	6	8	54-26	63
3.დილა	33	17	8	8	45-30	59
4.ლოკომოტივი	33	15	6	12	54-55	51
5.საბურთალო	32	13	11	8	44-36	50
6.სამგურალი	32	8	13	11	31-38	37
7.თელავი	32	9	8	15	28-48	35
8.ტორპედო	32	6	12	14	28-41	30
9.შუქურა	32	5	12	15	26-42	27
10.სამტრედია	32	5	5	22	30-65	20

შედეგები

6 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

მანჩესტერი-სიტი 0:2
ბრენტფორდი-ნორვიჩი 1:2
კრ.პალასი-ვულვზი 2:0
ჩელსი-ბარნლი 1:1
ბრაიტონი-ნიუკასლი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	11	8	2	1	27-4	26
2.სიტი	11	7	2	2	22-6	23
3.ლივერპული	10	6	4	0	29-8	22
4.ვესტ ჰემი	10	6	2	2	20-11	20
5.მანჩესტერი	11	5	2	4	19-17	17
6.ბრაიტონი	11	4	5	2	12-12	17
7.არსენალი	10	5	2	3	12-13	17
8.ვულვზი	11	5	1	5	11-12	16
9.კრ.პალასი	11	3	6	2	15-14	15
10.ტოტენჰემი	10	5	0	5	9-16	15
11.ევერტონი	10	4	2	4	16-16	14
12.ლესტერი	10	4	2	4	15-17	14
13.საუთჰემპტონი	11	3	5	3	10-12	14
14.ბრენტფორდი	11	3	3	5	13-14	12
15.ასტონ ვილა	11	3	1	7	14-20	10
16.უოტფორდი	10	3	1	6	12-18	10
17.ლიდსი	10	2	4	4	10-17	10
18.ბარნლი	11	1	5	5	11-17	8
19.ნიუკასლი	11	0	5	6	12-24	5
20.ნორვიჩი	11	1	2	8	5-26	5

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-ჰალი 0:2
ბლექბერნი-შეფილდი 3:1
ბორნმუთი-სუონსი 4:0
ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო 1:1
კარდიფი-ჰადერსფილდი 2:1
ქოვენთრი-ბრისტოლი 3:2
ლუთონი-სტოკი 0:1
მილიოლი-დერბი 1:1
ნოტინგემი-პრესტონი 3:0
პიტერბრო-ფულემი 0:1
ბირმინგემი-რედინგი 1:2
ბელქპული-ქპრ 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ფრაიბურგი 2:1
ბოხუმი-ჰოფენჰაიმი 2:0
ვოფსბურგი-აუგსბურგი 1:0
შტუტგარტი-არმინია 0:1
ლაიფციგი-დორტმუნდი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	11	9	1	1	40-11	28
2.დორტმუნდი	11	8	0	3	28-17	24
3.ფრაიბურგი	11	6	4	1	18-9	22
4.ვოლფსბურგი	11	6	1	4	12-12	19
5.ლაიფციგი	11	5	3	3	23-11	18
6.ლევერკუზენი	10	5	2	3	23-16	17
7.მაინცი	11	5	2	4	15-11	17
8.უნიონი	10	4	4	2	15-15	16
9.გლადბახი	11	4	3	4	13-14	15
10.ჰოფენჰაიმი	11	4	2	5	19-17	14
11.კიოლნი	10	3	4	3	15-18	13
12.ბოხუმი	11	4	1	6	10-18	13
13.ჰერტა	10	4	0	6	11-23	12
14.შტუტგარტი	11	2	4	5	15-20	10
15.აინტრახტი	10	1	6	3	10-15	9
16.აუგსბურგი	11	2	3	6	9-20	9
17.არმინია	11	1	5	5	7-16	8
18.ფიურტი	10	0	1	9	7-27	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

პადერბორნი-ინგოლშტადი 2:1
ფორტუნა-ჰანოვერი 1:1
რეგენსბურგი-ჰანზა 2:3
კარლსრუე-ჰამბურგი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-გრანადა 2:0
სელტა-ბარსელონა 3:3
ალავესი-ლევანტე 2:1
რეალი-რაიო 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	12	8	3	1	28-13	27
2.სოსიედადი	12	7	4	1	17-10	25
3.სევილია	11	7	3	1	19-7	24
4.ატლეტიკო	11	6	4	1	18-10	22
5.ბეტისი	12	6	3	3	19-15	21
6.რაიო	13	6	2	5	19-14	20
7.ოსასუნა	12	5	4	3	14-15	19
8.ბილბაო	12	4	6	2	11-8	18
9.ბარსელონა	12	4	5	3	19-15	17
10.ესპანიოლი	13	4	5	4	14-13	17
11.ვალენსია	12	4	4	4	18-17	16
12.მალიორკა	12	3	5	4	11-17	14
13.ალავესი	12	4	1	7	8-15	13
14.ვილიარეალი	11	2	6	3	13-12	12
15.სელტა	13	3	3	7	13-17	12
16.კადისი	13	2	6	5	12-19	12
17.გრანადა	12	2	5	5	11-16	11
18.ელჩე	12	2	4	6	9-15	10
19.ხეტაფე	12	1	3	8	6-18	6
20.ლევანტე	13	0	6	7	12-25	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-პონფერადინა 1:2
ვალიადოლიდი-მირანდესი 3:1
ოვიედო-ლას პალმასი 1:1
ფუენლაბრადა-ეიბარი 0:0

იტალია. სერია ა

სპეცია-ტორინო 1:0
იუვენტუსი-ფიორენტინა 1:0
კალიარი-ატალანტა 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	11	10	1	0	23-3	31
2.მილანი	11	10	1	0	25-10	31
3.ინტერი	11	7	3	1	28-12	24
4.ატალანტა	12	6	4	2	22-15	22
5.რომა	12	6	1	5	21-15	19
6.ლაციო	11	5	3	3	22-19	18
7.იუვენტუსი	12	5	3	4	16-15	18
8.ფიორენტინა	12	6	0	6	16-14	18
9.ემპოლი	12	5	1	6	18-23	16
10.ბოლონია	11	4	3	4	17-22	15
11.ვერონა	11	4	3	4	24-20	15
12.ტორინო	12	4	2	6	15-12	14
13.სასუოლო	11	4	2	5	15-15	14
14.ვენეცია	12	3	3	6	11-19	12
15.უდინეზე	11	2	5	4	12-16	11
16.სპეცია	12	3	2	7	13-26	11
17.ჯენოა	12	1	6	5	17-24	9
18.სამპდორია	11	2	3	6	14-23	9
19.სალერნიტანა	11	2	1	8	10-23	7
20.კალიარი	12	1	3	8	13-26	6

იტალია. სერია ბ

ალესანდრია-ტერნანა 0:2
ასკოლი-ვიჩენცა 2:1
კომო-პერუჯა 4:1
კრემონეზე-სპალი 1:1
ბრეშა-პორდენონე 1:0
ბენევენტო-ფროზინონე 1:4

საფრანგეთი. ლიგა 1

ლილი-ანჟე 1:1
ბორდო-პსჟ 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	13	11	1	1	29-13	34
2.ლანსი	13	7	3	3	25-14	24
3.ნიცა	12	7	3	2	23-9	23
4.მარსელი	12	6	4	2	20-12	22
5.რენი	12	5	4	3	18-11	19
6.ლიონი	12	5	4	3	20-17	19
7.ანჟე	13	4	6	3	19-16	18
8.სტრასბური	12	5	2	5	22-16	17
9.ნანტი	12	5	2	5	16-14	17
10.მონაკო	12	5	2	5	17-16	17
11.მონპელიე	12	4	4	4	20-19	16
12.ლილი	13	4	4	5	16-19	16
13.ლორიანი	12	3	6	3	12-18	15
14.ტრუა	13	3	4	6	13-21	13
15.კლერმონი	12	3	4	5	14-23	13
16.ბორდო	13	2	6	5	18-27	12
17.რეიმსი	12	2	5	5	14-17	11
18.ბრესტი	12	1	6	5	14-20	9
19.მეცი	12	1	4	7	13-27	7
20.სტ.ეტიენი	12	0	6	6	12-26	6

საფრანგეთი. ლიგა 2

ოსერი-პო 4:1
სოშო-ნიმი 0:1
ამიენი-კაენი 0:0
აიაჩო-დიჟონი 1:0
ლე ავრი-ვალანსიენი 0:0
გენგამი-ბასტია 2:3
გრენობლი-დიუნკერკი 1:0
კევიი-ტულუზა 0:0
ნიორი-ნანსი 1:3
პარიზი-როდეზი 1:0

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ნაიმეგენი-ჰერენვენი 1:1
ტილბურგი-სპარტა 0:3
ზვოლე-კამბური 1:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბოავიშტა-ფამილიკაო 2:5
ვიზელა-ეშტორილი 1:1
პორტიმონენშე-ბელენენსეში 2:0
გიმარაეში-მორიერენშე 2:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

არსენალი-უფა 0:0
დინამო-კრასნოდარი 1:0
კრილია-ხიმკი 3:0
სოჭი-ცსკა 4:1

ბელგია. ა დივიზიონი

ეუპენი-ვარეგემი 1:1
კორტრაიკი-ბეერსხოტი 1:1
მეხელენი-სტ.ტრუიდენი 0:1
სენ ჟილუა-შარლერუა 4:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-რიდი 1:2
აუსტრია-ზალცბურგი 0:1
ჰარტბერგი-აუსტრია 0:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-მოზერველი 0:2
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი 0:0
ჰართსი-დ.იუნაიტედი 5:2

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-გირესუნი 0:0
ანთალია-ალტაი 1:0
მალათია-ბაშაქშეჰირი 1:3
ბეშიქთაში-ტრაბზონი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-ატრომიტოსი 2:0
იანინა-პანეთოლიკოსი 3:0
აპოლონი-აეკი 2:2

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი 1:1
ლუცერნი-სიონი 0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჰრადეც კრალოვე-ბანიკი 1:1
ჩესკე-ბოლესლავი 2:1
ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 ..... 2:1
პლზენი-სიგმა 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ვარტა 0:1
ჩენსტოხოვა-გურნიკი 1:0
ლეხია-ზაგლებიე 2:1
ლენჩნა-ლეხი 1:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

მეზოკოვეშდი-პაკში 2:1
დებრეცენი-ჰონვედი 5:3
პუშ.აკადემია-უიპეშტი 2:1
უიპეშტის გოლი
გიორგი ბერიძემ გაიტანა

უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-მარიუპოლი 0:2
დინამო-ვორსკლა 1:2
ჩერნომორეცი-რუხი 4:3
ჩერნომორეცის მესამე გოლი
გიორგი წიტაიშვილმა გაიტანა

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-ვარბერგი 0:0
მილაბი-სირიუსი 2:3
დიურგარდენი-ჰალმშტადი 1:0

ნორვეგია. ეროტსეჰია

ბრანი-რუსენბორგი 2:2
სარპსბორგი-სტაბეკი 4:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲗᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იუოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲯᲘᲮᲡᲕᲝᲰᲘᲓᲘ Ბ



შვეულად: 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. უფროს მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 6. უძველესი აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი, ვიწრო ხის ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭიანი ტრანსპორტი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. პოლიტიკური მოწოდება, მოთხოვნა; 21. ღვინის სასმისი; 22. ქულა ძიუდოში.

თარაზულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 5. შოტლანდიური ნაგაზი; 7. უკრაინული ცეკვა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა, კლოუნი; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22 ყველაზე დიდი მდინარე აზიაში; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 25. კლდიდან, მიწიდან გამომდინარე წყლის ნაკადი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყვირილა; 2. ჟინვალი; 3. აგუერო; 4. მაზდა; 5. მუკუზანი; 7. ყრუ; 11. ლუგელა; 15. არიფანა; 16. კომბლე; 17. კატაი; 18. პონტო; 20. გუელი; 22. კალა.

თარაზულად: 6. ვარაყი; 8. ქირურგი; 9. მაზურკა; 10. რაშკული; 12. მერია; 13. აღაზა; 14. ჯარგვალი; 19. ეპილოგი; 21. ხანუკა; 23. ონიმა; 24. კაპელა; 25. ინსულტი; 26. მონპელიე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ეფემერა; 3. ანეკდოტი; 4. აკვალანგი; 5. მალკო; 6. იადონი; 8. ტანინი; 11. სკიპტრა; 14. ადამაშვილი; 15. ყარაყუმი; 16. შემოქმედი; 17. გილდია; 19. პუდინგი; 21. ბიეფი; 22. კრუზი.

თარაზულად: 1. ტერაკოტა; 5. მილი; 7. ბეტისი; 9. ზედელაშვილი; 10. დესანტი; 12. ინდიანა; 13. ტონიაცი; 16. შორაპანი; 17. გიდი; 18. სპერი; 20. ღვარცოფი; 22. კრუპი; 23. კიელინი; 24. ენგური; 25. ფეოლა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1637

ევრო — 3.6490

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2488

100 რუსული რუბლი — 4.4178

ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისათვის



სოლსკიაერი: „დარწმუნებული ვარ, მუშაობის შანსს მომცემენ“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა განაცხადა, რომ მას არ ეშინია იმის, რომ შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლონ, რადგან იცის, რომ მანჩესტერის ხელმძღვანელობა მას მუშაობის საშუალებას მისცემს:

– არ ვფიქრობ, რომ თანამდებობას დავტოვებ, რადგან ვიცი, რომ მანჩესტერის ხელმძღვანელობა ჩემი მუშაობით ბოლომდე უკმაყოფილო არ არის და მათ იციან, რომ შედეგის მისაღწევად დრო არის საჭირო. თუ მივხვდები, რომ ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე, მაშინ მე თვითონ წავალ.

ვინიციუსი რეალთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

მადრიდის რეალის ბრაზილიელი ფორვარდი ვინიციუს ჯუნიორი გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და, სავარაუდოდ, ეს კონტრაქტი 5-წლიანი იქნება. ჯერჯერობით სხვა დეტალები ცნობილი არ არის.

წლევანდელ სეზონს ვინიციუს ჯუნიორი ძალიან მაღალ დონეზე ატარებს და რეალის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი მისი თამაშით კმაყოფილია.

ფატიმ შესაძლოა ერთი თვე გამოტოვოს

ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ სელტასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შესაძლოა ამის გამო მან ერთი თვე გამოტოვოს, რადგან მას ბარძაყის კუნთის დაჭიმულობა აქვს, რაც მკურნალობას საჭიროებს.

ფატიმ ტრავმის გამო დიდი ხანი გამოტოვა და მოედანს ის ოქტომბერში დაუბრუნდა.

ამ მცირე დროის მანძილზე მან უკვე 4 გოლის გატანა მოახერხა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრინცმა უილიამმა კეიტ მიდლტონი აატირა

ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა თავისი მომავალი მეუღლე კეიტ მიდლტონი აატირა, როდესაც მათი ურთიერთობის საწყის ეტაპზე ახალ წელს მასთან ერთად შეხვედრაზე უარი უთხრა. ამ ინფორმაციას სამეფო ოჯახის ბიოგრაფის კეტი ნიკოლზე დაყრდნობით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

2006 წელს პრინცი გოგონას შეჰპირდა, რომ ახალ წელს მასთან ერთად შეხვდებოდა, თუმცა, საბოლოოდ, სამეფო ოჯახში დარჩენა ამჯობინა. შეთანხმების თანახმად, პრინცს ახალი წლის დადგომა სანდრინგემში უნდა ეზეიმა, როგორც ეს სამეფო ოჯახშია მიღებული, შემდეგ კი კეიტის ოჯახის სახლში მისულიყო.

პრინცის მომავალი მეუღლე იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც მისმა შეყვარებულმა გადაიფიქრა ამის გაკეთება და სახლში დარჩა. კეიტი მისმა საქციელმა აატირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 ნოემბრისათვის

ვერძი – დაძაბული დღეა. საქმე მთელი სერიოზულობით აკეთეთ. შანსი გამოიყენეთ. **ჯერო** – იაქტიურეთ შემოქმედებითი კუთხით. შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. **ტყუპები** – ცვლილებები სწრაფად მოხდება. ახალი კონტაქტები თქვენ სასარგებლოდ განვითარდება. **კირჩხიბი** – იმედი გიცრუვდებათ. საკუთარი ძალების არ გჯერათ. მადლიერი იყავით საქმიანი პარტნიორებისა. **ლომი** – არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. შესაფერის მომენტს დაელოდეთ. **ქალწული** – საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება გიწევთ. დაწყებულ საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებთ. **სასწორი** – შესაძლოა ქალაქიდან გასვლა მოგიხდეთ, რაც საქმიან მოლაპარაკებებს უკავშირდება. არ აჩქარდეთ. **ღრიანკალი** – საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. ზედმეტი დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. ნებისმიერი ცვლილება ხელს გაძლევთ. **თხის რქა** – სერიოზულ საქმეებს შეეშვით. დაისვენეთ და გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **მერწყული** – გაუთვალისწინებელ ხარჯებს ერიდეთ. პირად ცხოვრებაში კორექტივების შეტანა არ გაწყენთ. **თევზები** – ფიზიკური დატვირთვა და ნერვული დაძაბულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. იზრუნეთ საკუთარ თავზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

საავადმყოფოს მთავარი ექიმის კაბინეტიდან გამოსული ქმარი ცოლს ეუბნება:

– როგორც ჩანს, დედაშენს მალე გამოწერენ.

– ასე რატომ ფიქრობ, უკვე კარგადაა?

– ექიმმა ასე მითხრა, უარესისთვის მოემზადეო.

●●●

კაცი სიდედრთან კამათის შემდეგ შვილს ეუბნება:

– შვილო, მიდი, მეორე ოთხში შეირბინე და ტუჩის საცხი გამომიტანე.

– ეგ რომელია, მამი?

– პატარა კოლოფშია და „მომენტი“ აწერია.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს შესჩივის:

– დიდი ხანი არ არის, რაც ცოლი მოვიყვანე და უკვე ძალიან შევწუხდი. სულ უკმაყოფილოა, გამუდმებით ჯიჯღინებს. სულ ფულს ითხოვს. და შენ როგორ გაქვს მაგ მხრივ საქმე?

– ნორმალურად. როგორც კი ცოლი მოვიყვანე, მაშინვე წიგნი ვაჩუქე: „ოჯახის ბიუჯეტის ეკონომია“.

– და მერე, გიშველა?

– მესამე თვეა, სიგარეტს აღარ ვეწევი.

●●●

სამოდელო სააგენტოში ქალი რეკავს და კითხულობს:

– ალო! ეს ფოტომოდელების სააგენტოა?

– დიახ, გისმენთ.

– მოდელებს როგორი ანაზღაურება აქვთ?

– კარგად ვუხდით, მაგრამ მხოლოდ 90-60-90 მონაცემების მქონეებს ვიღებთ.

– ეგ პრობლემა არ არის, ჩემი ყველაფერი ემთხვევა, სიმაღლეც, ასაკიც და წონაც.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ჩემი მეზობელი ანზორა ისეთი მახინჯია, ცოლს ეჩხუბება, რატომ არ მიღალატე, რას ჰგავს ჩვენი ბავშვიო.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ბედნიერი სახით ეუბნება:

– ჩემმა ცოლმა იმშობიარა! თანაც წყალში.

– მართლა და როგორაა.

– ძალიან საყვარელი ბავშვია, ოთხ კილოს იწონის, არაფერზე გვაწუხებს, მარტო აჭამე და აკვარიუმში წყალი გამოუცვალე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„რანინას“ ფინალისტები ცნობილია

მუსიკალურმა შოუმ „რანინა“ მეოთხე სეზონის ფინალისტები დაასახელა. 6 ნახევარფინალისტიდან ჟიურიმ 3 რჩეული გამოავლინა.

ნახევარფინალში გაბათილდა 4 ტურის ქულათა ჯამი. შეფასება და ფინალში გასვლა თითოეული ჟიურის წევრის მიერ შედგენილი რეიტინგის საფუძველზე მოხდა.

„რანინას“ ფინალისტები გახდნენ ბარბარე მახათაძე, გეგა შონია და ნიკოლოზ ქაჯაია. ფინალში გამარჯვებული საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

„მთავარი გოგოები“ იწყება

ტელეკომპანია „მთავარი“ ახალ იუმორისტულ შოუს იწყებს.

„მთავარი გოგოები“ – ასე ეწოდება გადაცემას, რომლის წამყვანებიც თათია სულუაშვილი, თამუნა ლეკვეიშვილი და ციაკო ფიფია არიან.

„მთავარი გოგოები“ ეთერში ყოველ ხუთშაბათს გავა. შოუს მუსიკალურად გოგონების ბენდი გააფორმებს. გადაცემის სტუმრები კი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები იქნებიან.

ოთო ნემსაძე გადაცემების პროდიუსერებს მიმართავს



მომღერალი ოთო ნემსაძე გადაცემებს და მათ პროდიუსერებს მიმართავს:

– ყველა გადაცემის საყურადღებოდ ვამბობ – ეს არის ის მუსიკა, რაც მიყვარს და ჩემს მეგობრებთან ერთად ვაკეთებ. თუ რამე კონკრეტული პროექტი არ გაქვთ, თავს ნუ შეიწუხებთ ჩემთან დარეკვით და რაღაც ნაგვის შემოტენვით, მაინც არ ვიმღერებ.

არასდროს არ ვყოფილვარ ბოლმიანი კაცი და ყველას წარმატებას ვუსურვებ, უბრალოდ, მე არ მეკუთვნის და არც მივიღებ მონაწილეობას ნამდვილი მუსიკის მკვლელობაში.

პაატა შამუგიას „შიზოგადოება“ ბერძნულად ითარგმნა

პოეტ პაატა შამუგიას კრებული „შიზოგადოება“ ბერძნულად ითარგმნა. მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ჟურნალის „ესქვაიერის“ ბერძნულმა განყოფილებამ „შიზოგადოება“ მკითხველის ფავორიტ 10 წიგნს შორის დაასახელა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შეცდომით ციხეში აღმოჩენილი ამერიკელი მილიონერი გახდა

აშშ-ის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადგინა, რომ 51 წლის ენდი ბოლდენს, რომელმაც შეცდომით ციხეში 23 წელი გაატარა, სოლიდური კომპენსაცია უნდა გადაუხადონ. ასე რომ, ამერიკელი მილიონერი გახდება.

მამაკაცი 1994 წელს ჩადენილი ორი ადამიანის მკვლელობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. მისმა ადვოკატმა რონ საფერმა თქვა, რომ პოლიციას მისი დანაშაულის ჩადენასთან დამაკავშირებელი მტკიცებულებები არ გააჩნდა.

ბოლდენმა განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა და ქალაქ ჩიკაგოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რომელშიც განაჩენის გაპროტესტება სცადა. მაგრამ ქალაქის ადვოკატებმა და გამომძიებლებმა ფედერალური პროცესის დროს განაცხადეს, რომ ბოლდენის საქმე სამართლიანი იყო და რომ ის დანაშაულის ჩადენაში იყო დამნაშავე.

2014 წელს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბოლდენის ადვოკატი არაეფექტურად მოქმედებდა. კუკ-ის ოლქის პროკურორის ოფისმა, იმის მაგივრად, რომ ახალი პროცესი წამოეწყო ბოლდენთან მიმართებაში, საქმე შეწყვიტა და მისი უდანაშაულობის მოწმობა გასცა. 2016 წელს ის ციხიდან გაათავისუფლეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცს უდანაშაულოდ ციხეში გატარებული დროის გამო ეკუთვნის კომპენსაცია. ნაფიცმა მსაჯულებმა დაადგინეს, რომ ქალაქმა მას კომპენსაციის სახით 25 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, ხოლო ორმა პოლიციელმა, რომლებიც დღემდე ცოცხლები არიან, მას 100-100 ათასი დოლარი უნდა გადაუხადონ.

აშშ-ში მსოფლიოში პირველად გიენებს კორონავირუსი დაუფიქსირდათ

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის ზოოპარკში ორი გიენა კორონავირუსით დაინფიცირდა. ეს ამ ცხოველების კოვიდ-19 დაინფიცირების პირველი შემთხვევაა მსოფლიოში.

გიენების დაინფიცირება კოლორადოს შტატის ვეტერინარული დიაგნოსტიკის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში და ასევე, შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის ვეტერინარული სამსახურის ეროვნულ ლაბორატორიაში დადასტურდა.



ზოოპარკის თანამშრომლების თქმით, ცხოველებს აღენიშნებათ ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა მსუბუქი მოთენთილობა, ცხვირიდან გამონადენი და დროდადრო ხველება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ›



შვეულად: 1. ქართული მხატვრული ფილმ „ვედრებას“ რეჟისორი; 2. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 3. უარყოფითად დამუხტული იონი; 4. დროის დიდი მონაკვეთი; 5. ყველაზე დიდი ტბა საქართველოში; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. შტატი აშშ-ში; 15. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 16. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი ინჟინერი; 17. პირველი ახლად მოსული თოვლი; 18. ტელეგრაფის გამომგონებელი ამერიკელი მხატვარი; 20. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 22. ბერძნული ყველი.

თარაზულად: 6. ქოთანში მზარდი მინიატურული დეკორატიული ჩინური ხე; 8. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. შვეიცარიელი მხატვარი; 10. გარკვეულ უბნებზე, სახიფათო ადგილებში გემების გატარების სპეციალისტი; 12. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში; 13. მდინარის მიერ მოტანილი სილა, თიხა, ღორღი; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 21. მმართველთა უმაღლესი ტიტული მუსლიმანურ ქვეყნებში ძველად; 23. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 24. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 25. სახლზე მიშენებული პატარა საცხოვრებელი შენობა; 26. ნაფიც მსაჯულთა გამოტანილი განაჩენი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა